ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 2020 | №254 (8518) | ფასი: 60 თეთრი

გოგი წულაია: „კობახიძეს არ ესმის, რას ლაპარაკობს“

„პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის ერთადერთი გზა რიგგარეშე არჩევნებია“

ნიკა გვარამია: „ეთერს რომ მათხოვრობდით წინასაარჩევნოდ, ის გიორგი ვაშაძე არ ხართ?!“

გიორგი ვაშაძე: „ნიკა გვარამიას მხრიდან კოალიციაზე ბინძური თავდასხმები მიმდინარეობს“

„ივანიშვილი გახარიას ჯერ არ გაწირავს“



ნიკა ჩიტაძე: „ყველაზე დიდი აბსურდია, რაც კობახიძემ თქვა, 2012 წელს არჩევნების გაყალბებას ბოლო მოეღოო. როგორ გაყალბდა 2012 წელს არჩევნები, როდესაც ოპოზიციამ გაიმარჯვა?! მეტი აბსურდი რაღა გინდა?!“

„ნებისმიერი ოპოზიციონერის პარლამენტში შესვლა მისი პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნება“

გიორგი ბარამიძე: „2 დღეში გაირკვევა, ვინ რას აპირებს“

„ბიზნესი თუ წაიქცა, სხვებსაც მიიყოლებს“

ემზარ ჯგერენაია: „ნებისმიერი ბიზნესი თუ კერძო მეწარმე თანაბარ პირობებში უნდა იყოს“

„მთავრობის ცვლილება გარდაუვალია“

ლევან ალაფიშვილი: „ქართული პოლიტიკა კორიდას ემსგავსება, როდესაც გამარჯვებულმა დამარცხებული უნდა მოკლას, გაანადგუროს“

„მე მხოლოდ ჯოგური იმუნიტეტის იმედი მაქვს“

მამუკა გამყრელიძე: „დასავლეთიდან შემოსული ამხელა ფული უმიზნოდ გაიფლანგა“

ნაცმოძრაობის წევრი ქუჩაში კოვიდინფიცირებული მოძრაობდა

ISSN 1987-9385

5 ნიუ იორკში 18 წლის ჯაბა ადამია მოკლეს
პოლიცია შავებში ჩაცმულ თეთრკანიან მამაკაცს ეძებს

6 გარეგინ II: „ფაშინიანი უნდა გადადგეს!“

5 შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 705 ფაქტი გამოავლინა

6 პირველი მოქალაქე, რომელიც კოვიდ 19-ზე აცრეს, 90 წლის მარგარეტ კინანი გახდა

„მე მხოლოდ ჯოგური იმუნიტეტის იმედი მაქვს“

მამუკა გამყრელიძე: „დასავლეთიდან შემოსული ამხელა ფული უმიზნოდ გაიფლანგა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, კოვიდსიტუაცია ძალიან მძიმეა ჩვენს ქვეყანაში. პირადად შეეხო თქვენი ოჯახის წევრს ეს ვირუსი. რა დაბრკოლებებს წააწყდით, რამდენად გამართულად მუშაობს სისტემა?

– მე და ჩემი ოჯახი თავიდან ბოლომდე ვემორჩილებით იმ წესებს, რომლებიც არსებობს. ქუჩაში დავდივარ პირბადით. მინიმალური კონტაქტი მაქვს ადამიანებთან, მხოლოდ პროდუქტების საყიდლად გავდივარ და ასეა მთელი ჩემი ოჯახი. უმცროს ქალიშვილს უწევდა სამსახურის გამო გასვლა და, მიუხედავად იმისა, რომ წესებს მკაცრად იცავდა, ვირუსი მაინც შეხვდა. წესების დაცვა აუცილებელია და ჩვენ ვემორჩილებით ამას, მაგრამ ეს არ შველის საქმეს და გეტყვით, რატომ.

– რატომ?

– ის რამდენიმე თვე, რომლებიც გვაჩუქა კოვიდმა და მიუხედავად იმ უზარმაზარი დაფინანსებისა, რომელიც დასავლეთიდან მივიღეთ, რეალურად არაფერი გაკეთებულა ჯანდაცვის სისტემაში. სისტემა პირველსაც და მეორე ტალღასაც სრულიად მოუმზადებელი შეხვდა.

გვქონდა ფული, იყო დრო მოსამზადებლად, მაგრამ მივიღეთ აი, ასეთი ქაოსი, სრული მოუმზადებლობა და, რაც მთავარია, გაფლანგული ფული, რომელიც, დარწმუნებული ვარ, დაიხარჯა ძალიან არამიზნობრივად და მივიღეთ როგორც მინისტრის, ასევე სამ მუშკეტერად წოდებული სრულიად უსინდისო ადამიანების თავხედური განცხადებები.

ეს სიტუაცია გვაქვს, როდესაც ადამიანები საავადმყოფოებში ვერ წვებიან, ლაბორატორიის, სასწრაფოს გამოძახება არ შეუძლიათ.

– კოვიდსასტუმროებზეც ცუდი ხმები დადის...

– სადაც ჩემი ქალიშვილი იყო, იქ კარგი პირობები იყო. შეიძლება, ჩვენ გაგვიმართლა. რაც შეეხება კოვიდსასტუმროში მოთავსებას, მე მომივიდა ხმები, იმისათვის, რომ უკეთეს სასტუმროში მოგახვედრონ, ვგულისხმობ უკეთეს პირობებსა და ასე შემდეგ, იღებენ 100 ევროს, ასე ვთქვათ, ქრთამს. რა ვთქვა, არ ვიცი, საერთოდ აღარაფერში არ წერია ეს ამბავი.

ის, რომ გაუბედურებულ დღეში არიან ექიმები, საშინელი გრაფიკით მუშაობენ, კიდევ ცალკე უბედურებაა. სასწრაფოს ექიმები რომ ნახოთ, რა დღეში არიან, გადაღლილები და გაუბედურებულები. ტრაგიკომიკური სიტუაციაა.

– ყველგან რთული სიტუაციაა, მაგრამ საქართველოს ყველზე მეტად გაუჭირდა. რატომ?

– გაუჭირდა და ეს ამ დაავადების ბრალი არ არის. შეიძლებოდა მისი მართვა, მზად რომ შევხვედროდით. ჩვენი ქვეყნისთვის სიკვდილიანობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია. უახლოესი მეგობრები დამეღუპნენ, ჯანმრთელები, არაფერი რომ არ აწუხებდათ, არც თანმხლები დაავადებები ჰქონიათ. სანიტარიის სერიოზული პრობლემებიც არსებობს, კლინიკაში მოხვედრილებს შემდეგ სეფსისი ემართებათ. ერთ მეგობარს ფეხი მოსტყდა, კლინიკაში დამართეს კოვიდი, ასევე სეფსისი და აი, ასე დაიღუპა.

ეს არის კატასტროფა, ხალხო! მე ექიმებს ვერ ვადანაშაულებ, როგორ უნდა დავადანაშაულო?! როდესაც 10 კაცზეა გათვლილი ადგილი, იქ როგორ შეიძლება, 100 კაცი დაწვინო და მერე მათი მოვლა შეძლო! აი, ეს არის საქმე, ეს არის პრობლემა, მოუმზადებლობა!

– პანიკა ხომ არ მოიცავს საზოგადოებას?

– მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მოსახლეობაში პანიკა იქნება. ჩვენი მოსახლეობა ძალიან მყარია ამ თვალსაზრისით. პოსტსაბჭოთა ქვეყანაში პანიკის დათესვა ძალიან რთულია. ძალიან ბევრი გაჭირვება გვინახავს ამაზე უარესი.

მე ერთადერთ გამოსავალს ვხედავ იმაში, რომ ჯოგური იმუნიტეტი გამოვიმუშაოთ. ბრიტანეთში დაიწყო ვაქცინაცია. ამერიკაშიც სულ მალე დაიწყება. უკეთეს შემთხვევაში, ჩვენამდე ეს ვაქცინა მოაღწევს მომავალი წლის შემოდგომისთვის, ვგულისხმობ მასობრივს, თორემ რისკჯგუფებში შეიძლება ცოტა ადრე დაიწყოს. მასობრივად დაიწყება შემოდგომაზე და აქედან გამომდინარე მოგვიწევს გადატანა ან არგადატანა. რეალურად ჯოგურ იმუნიტეტს უნდა დაველოდოთ.

– როგორ გაუძლებს ამ სიტუაციას ჯანდაცვის სისტემა?

– როდესაც მხოლოდ ერთი პროცენტია ძალიან მძიმე და დანარჩენს საშუალოდ მსუბუქად გადააქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ვირუსი არც ისეთი მომაკვდინებელია, მაგრამ შენ როდესაც ორჯერ და სამჯერ უფრო მაღალი გაქვს სიკვდილიანობა ქვეყანაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ უმკლავდები. თუ ვერ ახერხებ ავადმყოფების მოვლას, თუ ვერ ახერხებ მათ განთავსებას საავადმყოფოებში, მათთვის შესაბამისი მკურნალობის დანიშვნასა და მკურნალობას, ის ხალხი აუცილებლად დაიღუპება. სახლში იქნება თუ კლინიკაში, თუ არასწორად მართავთ, მოკვდება ის ადამიანი.

თუ შენ ერთის მაგივრად ათი ავადმყოფი გყავს, ვერ გაუწევ მათ შესაბამის მოვლა-პატრონობას, ეს ხალხი მაინც დაიღუპება, აქვთ მათ თანმხლები დაავადებები თუ არა. ხომ გეუბნებით, ორი სრულიად ჯანმრთელი მეგობარი დამეღუპა. საუბარი იმაზეა, რომ სისტემა არის გადატვირთული.

– რას ელით?

– კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე მხოლოდ ჯოგური იმუნიტეტის იმედი მაქვს. შედარებით უკეთესი სიტუაცია გაზაფხულის ბოლოს, ზაფხულის დასაწყისში თუ იქნება. ზაფხულში ვირუსი, ასე თუ ისე, საკმაოდ იკლებს ხოლმე.

„მთავრობის ცვლილება გარდაუვალია“

ლევან ალაფიშვილი: „ქართული პოლიტიკა კორიდას ემსგავსება, როდესაც გამარჯვებულმა დამარცხებული უნდა მოკლას, გაანადგუროს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, რამდენად გჯერათ ოპოზიციის ერთობის? როგორც ჩანს, ვიღაცები, უკვე გვარებიც კი სახელდება, პარლამენტში შედიან. ალბათ, ამიტომ იყო ასეთი დარწმუნებული ირაკლი კობახიძე, როდესაც ამბობდა, ოპოზიცია პარლამენტში შემოდისო.

– ოპოზიციას ერთობა რომ აკავშირებდეს, ერთ პარტიაში იქნებოდნენ. ამდენად, ოპოზიციის ერთობა იმთავითვე გამორიცხულია. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებულ ერთობას, გრძელვადიან პერსპექტივაში მე ვერ ვხედავ. ბუნებრივია, მოკლევადიან ინტერესზე გაერთიანება სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი ვერ არის. ამდენად, მოულოდნელი არ იქნება, თუკი ამ პროცესს ასეთი განვითარება ექნება.

– მოულოდნელი არ იქნება, თუკი ოპოზიციიდან ვიღაცები პარლამენტში აღმოჩნდებიან?

– დიახ, ამას ვამბობ. შეიძლება, ვიღაც აღმოჩნდეს პარლამენტში.

– უნდა გაჯაროვდეს თუ არა მოლაპარაკებები?

– საჯარო თანამდებობის პირებს აქვთ არა მხოლოდ ვალდებულება, არამედ გარკვეულწილად გონივრულობის შემთხვევაში ფუფუნებაც კი, რომ თავიანთი წილი პასუხისმგებლობა სხვასაც გადაუნაწილონ თავიანთი გამჭვირვალობით, თავიანთი ღიაობით.

პოლიტიკოსებს, უნდათ თუ არა, აქვთ ამომრჩევლის მხარდაჭერა. მათ არჩევნებზე ნდობა აქვთ გამოცხადებული, ხმები აქვთ მიღებული, რაც ნიშნავს ერთგვარი მოქმედების მანდატს. პოლიტიკოსს, მოქმედების მანდატს, სწორედ ამომრჩეველი განუსაზღვრავს. ეს არის პოლიტიკოსის მოქმედების ერთგვარი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც უნდა წარმართონ საქმიანობა, მით უფრო, როდესაც საქმე ეხება უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში შესვლა-არშესვლის საკითხს, რომლის მანდატიც მათ ხალხმა, ამომრჩეველმა მისცა. ამიტომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა გამჭვირვალე პროცესის წარმართვა აღნიშნულთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, დღეს სხვა რეალობის მოწმენი ვართ. პროცესში ჩართული არიან შუამავლები. ჩვენ ვერა და ვერ ვისწავლეთ ერთმანეთთან საუბარი და, შესაბამისად, შუამავლებს აქვთ თავიანთი მოთხოვნები.

ქართული პოლიტიკა კორიდას ემსგავსება, როდესაც გამარჯვებულმა დამარცხებული უნდა მოკლას, გაანადგუროს. თუ ამას ვერ დავასრულებთ მენტალურად, არაფერი გამოვა. დემოკრატიის მიმართულებით წინ ვერ წავალთ.

– ასე მიდის პროცესი, ან ყველაფერი, ან არაფერი?

– დიახ და არა მხოლოდ ახლა. ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 30-წლიანი ისტორია სწორედ ამის მაგალითია, როდესაც გამარჯვებული ანადგურებს დამარცხებულს. ელემენტარულია, ოპონენტს პოლიტიკური მტერი დაარქვა, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს წარმოადგენს. ეს არის არა მხოლოდ პოლიტიკოსების პრობლემა, ეს არის ფართო საზოგადოების პრობლემა. თუკი საზოგადოებისგან არ იქნება მოთხოვნა, რომ არჩევნები იყოს კორიდა, მერწმუნეთ, არ იქნება კორიდა.

– 11 დეკემბერს მე-10 მოწვევის პარლამენტი შეიკრიბება. ოპოზიცია თუ არ შევა, ეს რას ცვლის?

– პოლიტიკურად ცვლის იმას, რომ პარლამენტში წარმოდგენილი იქნება არა ამომრჩეველთა უმრავლესობის წარმომადგენელი, არამედ წარმოდგენილი იქნება ნახევარზე ნაკლები. შესაბამისად, ეს პოლიტიკურ-სამართლებრივ ლეგიტიმაციას, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ამცირებს.

რაც შეეხება კანონშემოქმედებით საქმიანობას, გადაწყვეტილების მიღებას, პროცედურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შეფერხება არ იქნება. კანონების მიღების პრობლემა არ იქნება.

მსხვილი, მასშტაბური სახელმწიფო კრიზისის შემთხვევაში, მაგალითად, როგორიც არის სახელმწიფოს მეთაურის მიერ კანონს მიღმა ქმედება იქნება სისხლის სამართლის დანაშაული თუ ანტიკონსტიტუციური ქმედება, საკონსტიტუციო სასამართლომ რომც დაამტკიცოს ეს ყველაფერი, პარლამენტი პრეზიდენტს ვერ გადააყენებს, ისევე, როგორც ვერ გადააყენებს თანამდებობიდან ეროვნული კომუნიკაციების მარეგულირებლის წევრს.

– რა შეიძლება იყოს ფინალი, თუ შეთანხმება ვერ შედგა? საარჩევნო კოდექსის ცვლილება?

– თუ შეთანხმება ვერ შედგება, პარლამენტი მუშაობას გააგრძელებს. რიგგარეშე არჩევნები არის მთავარი მოთხოვნა და, თუ მთავარი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მივიღებთ 11 დეკემბერს ანუ პარლამენტი შეიკრიბება და მუშაობას დაიწყებს, მაგრამ, მერე როგორ მოიქცევა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა მე მიმაჩნია, რომ მთავრობის ცვლილება, უმძიმესი ოთხი წლის გათვალისწინებით, გარდაუვალია.

ნიკა გვარამია: „ეთერს რომ მათხოვრობდით წინასაარჩევნოდ, ის გიორგი ვაშაძე არ ხართ?!“

გიორგი ვაშაძე: „ნიკა გვარამიას მხრიდან კოალიციაზე ბინძური თავდასხმები მიმდინარეობს“

გუშინ, 8 დეკემბერს, დღის მთავარი თემა გიორგი ვაშაძის პარლამენტში შესაძლო შესვლის საკითხი გამოდგა.

ტელეკომპანია „მთავარის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ გიორგი ვაშაძე პირდაპირ დაასახელა იმ ოპოზიციონერთა შორის, რომლებიც პარლამენტში შესვლას აპირებენ. თაკო ჩარკვიანის პოსტზე ფეისბუქში ნიკა გვარამიამ ასეთი კომენტარი დაწერა:

„ქალბატონო თაკო, თავის დამშვიდება არაა კარგი თანამგზავრი. ჩვენ გავახმოვანეთ ის ინფორმაცია, რომელიც გვაქვს და რომლის თანახმადაც პარლამენტში შედის (კი არ ყოყმანობს, კი არ ფიქრობს – სწორედაც შედის) 7 ოპოზიციონერი (შემდეგ გამოშვებაში დავასახელებთ შვიდივეს), მათ შორის ორი თქვენი სიიდან, პირველ რიგში, ბატონი ვაშაძე.

ესაა ჩვენი ინფო, რომლის დამალვასაც არ ვაპირებთ და, თუ გვიპასუხებს და უარყოფს ბატონი ვაშაძე, გაგვიხარდება. ჯერჯერობით სერგო ჩიხლაძეს აპასუხებინა მესამე პირში“.

მანამდე ნიკა გვარამიამ ფეისბუქში დაწერა:

„ოპოზიცია ნაზი ყვავილი არ არის, რომ მისთვის კრიტიკული შეკითხვების დასმა არ შეიძლებოდეს, მით უმეტეს, ამ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.

არავის არ ვაგინებთ, გვაქვს ინფორმაცია ერთდროულად და იდენტური „ქართული ოცნებიდან“ და ოპოზიციიდან, რომ 7 ოპოზიციონერი სამი პარტიიდან აპირებს პარლამენტში შესვლას. ყოველგვარი ისტერიკის გარეშე ვცდილობთ ამ ინფორმაციის გადამოწმებას. არ ვაპირებთ ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტის დამალვას.

გვეყო, რაც (შეცდომით) ვმალეთ შიდაოპოზიციური და „ოცნებასთან“ მოლაპარაკებების დეტალები თითქმის ერთი თვის მანძილზე. ჩვენ სახალხო მედია ვართ და ვმუშაობთ ხალხისთვის და არა ვიღაცის ნამუსის შესანახად ან აბსურდული კონსპირაციების ხელშეწყობისთვის.

მოკლედ, შვიდივესთან პირადად ვამოწმებთ ინფორმაციას და შემდეგ გამოშვებაში ჩამოვთვლით შვიდივეს და მათ პასუხებს: „არ შევდივარ“ ან „ამიტომ და ამიტომ შევდივარ“, ან „კომენტარი არ გააკეთა“, რაც ასევე პასუხია. არაა საჭირო დამუნათება, ნამუსზე შეგდება და ისტერიკები. არ მუშაობს“.

გუშინვე თავისი მოსაზრება გამოთქვა გიორგი ვაშაძემ.

– შეთანხმების გარეშე „სტრატეგია აღმაშენებელი“ არსად შესვლას არ აპირებს, „მთავარი არხის“ დირექტორის ნიკა გვარამიას მხრიდან კოალიციაზე ბინძური თავდასხმები მიმდინარეობს, – განაცხადა პოლიტიკოსმა.

ვაშაძის თქმით, ის ამჯერადაც ისე გახდა თავდასხმის ობიექ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილი გახარიას ჯერ არ გაწირავს“

ნიკა ჩიტაძე: „ყველაზე დიდი აბსურდია, რაც კობახიძემ თქვა, 2012 წელს არჩევნების გაყალბებას ბოლო მოეღოო. როგორ გაყალბდა 2012 წელს არჩევნები, როდესაც ოპოზიციამ გაიმარჯვა?! მეტი აბსურდი რაღა გინდა?!“

იაგო ნაცვლიშვილი

პასუხობს თუ არა ბევრ კითხვას მედიაში გავრცელებული ინფორმაცია იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილის ვაჟს უტა ივანიშვილს რუსეთის პასპორტი აქვს? ივანიშვილების ოჯახის დაცვა ეკატერინე ტიკარაძის მხრიდან ნიშნავს თუ არა იმას, რომ ჯანდაცვის მინისტრი პრემიერობისთვის ემზადება და მოხსნიან თუ არა გიორგი გახარიას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

— მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ბიძინა ივანიშვილის შვილს უტა ივანიშვილს აქვს რუსული პასპორტი. ეს ბევრ კითხვას პასუხობს თუ არა?

— კითხვები, რა თქმა უნდა, არსებობს, რატომ უნდა ჰქონდეს ბიძინა ივანიშვილის შვილს რუსული პასპორტი? განცხადებებიც იყო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, რომ საქართველოს ჰყავდა საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც ჰქონდა რუსული პასპორტი და მოქალაქეობა.

— გრიგოლ ვაშაძეზეა საუბარი?

— დიახ, თუმცა ამ შემთხვევაში სხვა ვითარებაზეა საუბარი. ჯერ ერთი, ბატონმა გრიგოლმა ჩააბარა რუსეთის პასპორტი და საქართველოს მოქალაქის პასპორტი აიღო. მეორეა ის, რომ მან გააკეთა ქართული საქმე. თავის დროზე მისი ლიდერობით საქართველომ რუსეთს დიპლომატიური ომი მოუგო, ანუ როდესაც სულ სამმა სახელმწიფომ ცნო რუსეთთან ერთად აფხაზეთისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობა“, დანარჩენმა სახელმწიფოებმა რომ არ ცნეს ე.წ. დამოუკიდებლობა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ვაშაძეს.

— ხელისუფლების ეს არგუმენტი ცოტა გაუგებარია. ნაცმოძრაობას პატიმრების წამებაშიც ადანაშაულებდნენ და ამ ლოგიკით მათაც უნდა დაიწყონ წამება და ამით „გაიპრავონ“ თავი, რომ წინა ხელისუფლება ამას აკეთებდა?

— კი ბატონო, იყო დარღვევები ნაციონალური მოძრაობის დროს, მაგრამ წამების თვალსაზრისით დღეს უარესი ხდება.

როდესაც რაღაცას ეკითხები და გპასუხობენ, რომ იმ დროსაც ხდებოდა, ეს გაუმართლებელია. როდესაც ამბობ, ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლით ძალადობას მოეღო ბოლოო და ამ დროს ხდება ისევ ძალადობა, მაშინ შენ რით ხარ უკეთესი?!

— ცოტა უტრირებულად რომ ვთქვათ, ერთ დროს კომუნისტური მმართველობაც იყო და, სწორება მასთან რომ გავაკეთოთ, რამდენად გამართლებული იქნება?

— თუ პრეტენზია გაქვს, რომ დემოკრატიული ხარ, ბიზნესი გაათავისუფლე და ძალადობისგან იხსენი ქვეყანა, მაშინ იმავეს რატომ აკეთებ?! ყველაზე დიდი აბსურდია, როდესაც კობახიძემ თქვა, 2012 წელს არჩევნების გაყალბებას ბოლო მოეღოო. როგორ გაყალბდა 2012 წელს არჩევნები, როდესაც ოპოზიციამ გაიმარჯვა?! მეტი აბსურდი რაღა გინდა?!

— თემას დავუბრუნდეთ. უტა ივანიშვილის თემაზე ისაუბრა ეკატერინე ტიკარაძემ, რომელმაც დაიცვა ივანიშვილების ოჯახი და თქვა, „ფეიქნიუსებით“ უნდათ, მას ნდობა დააკარგვინონო. ტიკარაძემ დაიწყო პოლიტიკური განცხადებების კეთება. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ტიკარაძე მართლა ემზადება პრემიერობისთვის?

— არ ვიცი. ეს რთული სათქმელია. დღეს ჯანდაცვის სექტორისადმია ქვეყანაში ყურადღება მიპყრობილი და ამ სისტემის მიმართ კითხვები არსებობს. მოსახლეობა ისურვებდა, რომ კომპეტენტური ადამიანი იდგეს ჯანდაცვის სისტემის სათავეში. არსებობს კითხვები, რა შესაბამისი განათლება გააჩნია ქალბატონ ტიკარაძეს და ა.შ.

შესაძლოა, ყველაფერი მოხდეს, მაგრამ, არა მგონია, ტიკარაძეზე გაკეთდეს აქცენტი. მე მაინც ვფიქრობ, ივანიშვილი დაინტერესებულია, რომ გახარიამ შეინარჩუნოს პრემიერის პოსტი. ის არის ძლიერი ფიგურა და, არ არის გამორიცხული, დღეს მას სჭირდებოდეს ძლიერი ფიგურა. შესაძლოა, კორონავირუსამდე სხვა ტიპის პრემიერი აწყობდა. ამიტომ, არა მგონია, ტიკარაძეზე გაკეთდეს აქცენტი.

— მაშინ, ის რას უნდა მივაწეროთ, რომ გამოვიდა ხმები ტიკარაძისა და გახარიას ჩხუბის შესახებ. შემდეგ უკვე „ოცნების“ პროპაგანდისტებმა დაიწყეს ლაპარაკი გახარიას გარემოცვაზე. მაგალითად, მეზვრიშვილი პირდაპირ ნაცმოძრაობას დაუკავშირეს. ეს ფაქტები რაზე მეტყველებს?

— შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქართულ ოცნებაში“ არის დაპირისპირება, მაგრამ, რამდენად სურს ივანიშვილს, ამ ეტაპზე გახარია გაწიროს?! სხვადასხვა ვერსია განვიხილოთ. შესაძლოა, ასეც მოხდეს, რომ გახარიამ ითამაშოს განტევების ვაცის როლი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაში, რასაც აქვს ადგილი.

— ანუ არ გამორიცხავთ, რომ გახარიას მიაწერონ ყველაფერი, როგორც ეს კვირიკაშვილის შემთხვევაში მოხდა?

— კი, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე მაინც არ არის ივანიშვილი დაინტერესებული, გაწიროს გახარია. კვირიკაშვილის შემთხვევაში ეს ასახსნელი იყო, რადგან მან დამოუკიდებლად თამაში დაიწყო, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ივანიშვილისა და მასთან დაახლოებული გუნდისთვის. გახარიას შემთხვევაში, შესაძლოა, მოხდა უთანხმოება, მაგრამ, ალბათ, იმის გამო, რომ გახარიას მიაჩნია, ტიკარაძეს მეტი მოეთხოვება. იქიდან გამომდინარე, რომ ჯანდაცვის სამინისტროს 5 მილიარდამდე გამოეყოფა.

კი, შესაძლოა, ივანიშვილმა განტევების ვაცად გახარია გამოაცხადოს და თქვას, რომ თვითონ კარგია, მაგრამ პრემიერები არ ამართლებენ, მაგრამ, მე მაინც მგონია, ამ ეტაპზე გახარიას არ გაწირავს, იმ კონფლიქტის მიუხედავად, რაც, შეიძლება, არსებობდა, თუმცა ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები არ მოგვეპოვება, ამიტომ ჭორაობას ვერ დავიწყებ და ამ კონკრეტული საკითხის კომენტარისგან თავს შევიკავებ.

დარწმუნებით რამის თქმა რთულია, მაგრამ მე მაინც იქით ვიხრები, რომ ივანიშვილი ამ ეტაპზე გახარიას არ გაწირავს. გახსოვთ, 1 წლის წინ, როდესაც მთავარმა არხმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ გახარიას ხსნიდნენ, მაშინ გითხარით, რომ გახარიას არ გადააყენებდნენ პრემიერობიდან და ასეც მოხდა. დღეს მეტი ალბათობაა, რომ გახარიამ პრემიერის პოსტი შეინარჩუნოს რაღაც პერიოდი, თუმცა გამორიცხული არაფერია. ორი სცენარი შეგვიძლია განვიხილოთ. ერთია ის, რომ გახარიას უწყობენ რაღაცას და მეორე ის, რომ მთავრობის სხდომაზე დაუგეგმავად უთანხმოებამ იჩინა თავი.



— ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები იმსჯელებენ საქართველოს არჩევნებზე. ეს საკითხი განიხილება ვენესუელაში ჩატარებულ არჩევნებთან და თურქეთში ადამიანის უფლებების დარღვევასთან ერთად. ერთიან კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომ საქართველოში დემოკრატია ჩამოშლის ზღვარზეა?

— არა, ეს უნდა განვიხილოთ იმგვარად, რომ ყველაზე აქტუალური პრობლემები რაც არსებობს, იმას განიხილავენ. განიხილავენ იმას, რაც დგას ევროკავშირის წინაშე. რა თქმა უნდა, საქართველოში პოლიტიკური კრიზისი ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ევროკავშირი არ არის დაინტერესებული, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მონაწილე ერთ-ერთ აქტიურ ქვეყანაში, საქართველოში, პოლიტიკური კრიზისი იყოს, ისევე, როგორც თურქეთში მიმდინარე ვითარება. ასევე აქტუალურია ვენესუელის არჩევნებიც.

— რომელიც არ აღიარა საქართველომ, როგორც ჩვენი საგარეო უწყების განცხადებიდან გავიგეთ.

— კი, იმიტომ, რომ მადურო არის უგო ჩავესის ბინძური საქმის გამგრძელებელი. ვგულისხმობ თუნდაც იმას, რომ ვენესუელამ უკანონოდ აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი იმის სანაცვლოდ, რომ რუსეთმა 5 მილიარდამდე შეიარაღება მიჰყიდა მას. მადურო მაშინ ვიცეპრემიერი იყო და მერე გახდა პრეზიდენტი. მან ჯერ საპრეზიდენტო არჩევნები გააყალბა და ახლა უკვე — საპარლამენტოც. ვენესუელა ლათინურ ამერიკაში ნავთობის მომპოვებელი სახელმწიფო და ფაქტობრივად ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელიც ანტიდასავლურ პოლიტიკას ატარებს, ანუ იმის თქმა მინდა, რომ საქართველო და ვენესუელა გეოგრაფიულად შორს არიან ერთმანეთისგან, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკაში ეს საკითხებია აქტუალური ევროკავშირისთვის.

„ბიზნესი თუ წაიქცა, სხვებსაც მიიყოლებს“

ემზარ ჯგერენაია: „ნებისმიერი ბიზნესი თუ კერძო მეწარმე თანაბარ პირობებში უნდა იყოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ემზარ ჯგერენაია პასუხობს.

— ბატონო ემზარ, მძიმე პანდემიური სიტუაციის ფონზე ქვეყანაში ძალიან მძიმე ეკონომიკური სიტუაციაა. ძალიან უჭირს ბიზნესს, როგორც დიდს, ისე მცირესა და საშუალოს. ყოველდღე იკარგება სამუშაო ადგილები. როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად რთული პერიოდი გვაქვს წინ?

— პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ ეს არის უნიკალური მოვლენა, სადაც არ ჩანს არც თავი და არც ბოლო, არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ძალიან რთულია გათვალო, რა შეიძლება მოხდეს. პირველ რიგში, არ არის ანალოგები, ემოციური ფონი უფრო მეტია, ვიდრე რეალობა. ამ პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ტურიზმსა და ტურისტულ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს. ეს გასაგებია, თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ძალიან უსამართლო სიტუაციაა.

— რას გულისხმობთ? ბიზნესის დიდი ნაწილი მძიმე სიტუაციაშია.

— როდესაც სახელმწიფო ეხმარება ბიზნესს, უნდა დაეხმაროს თანაბრად. პატარა ბიზნესს თუ ეხმარები, დიდსაც უნდა დაეხმარო, რადგან, დიდი ბიზნესი თუ წაიქცა, ეს ნიშნავს, რომ მიიყოლებს თან სხვა ბიზნესებსაც. ამიტომ მხოლოდ მცირე ბიზნესზე ყურადღების გამახვილება არ არის სწორი.

— იმის თქმა გინდათ, რომ მსხვილი ბიზნესიც საყურადღებოა?

— რა თქმა უნდა და — არანაკლებ საყურადღებო. თუნდაც ბანკებისა და კრედიტების თემა ავიღოთ. წარმოიდგინეთ, გაჩერებულ ქვეყანაში, როდესაც ქუჩაშიც ვერ გადიხარ, ვერ მუშაობ, ბანკი პროცენტს გართმევს. გაიძახიან, დავეხმაროთ ტურისტულ ბიზნესსო. კი, დავეხმაროთ, მაგრამ ტურისტული ბიზნესის მომხმარებელი ვინ არის? ჩვენ, რიგითი ადამიანები, რომლებსაც ბანკი ერთი საათის დაგვიანებასაც კი არ გვპატიობს, თანაც გავითვალისწინოთ, როგორი მაღალპროცენტიანი სესხებია.

— პანდემიის პირველი ტალღის დროს დაწესდა შეღავათები, გადაუვადეს კიდეც სესხები, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მერე უფრო მძიმედ დააწვა მოსახლეობას მისი გადახდა.

— გადაუვადეს როგორ? ძირი გადაიტანეს და პროცენტები გადმოიტანეს აქეთ. ამან მდგომარეობა უფრო გააუარესა. უფრო გაურთულეს საქმე. ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ხალხი. კერძო ბიზნესი ვეღარ იხდის ხელფასებს, ყველაფერი გაჩერდა. ყველა ზის სახლში. მხოლოდ სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულები იღებენ ხელფასებს. სხვა ყველა და ყველაფერი გაიყინა. სახელმწიფო გარანტირებულად იხდის ხელფასებს. კერძო ბიზნესში ასე ხომ არ არის?! ხალხმა, რომელიც წინა წლებში უმუშევარი დარჩა და არ იცოდა, როგორ ეცხოვრა, რა ექნა, გაყიდა ბინები და ტურისტულ უბნებში აიშენეს პატარა სასტუმროები. ამით ძალიან ბევრი ოჯახი ცხოვრობდა და თავს ირჩენდა. დღეს ეს ხალხი სრულიად უპატრონოდ არის მიტოვებული. ხომ შეუძლიათ, გადასახადი მაინც შეუმცირონ!

— არასწორია სახელმწიფოს მიდგომა?

„მხოლოდ სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულები იღებენ ხელფასებს. სხვა ყველა და ყველაფერი გაიყინა“

— არათანაბარია! სულ ტურიზმზე ვლაპარაკობთ და ისეთი თემები, რომლებიც ეხება ქონების გაქირავებას, პატარა სასტუმროებს, სრულიად უყურადღებოდაა დარჩენილი. თქვენ წარმოგიდგენიათ, ლარის კურსი რამხელა ზეგავლენას ახდენს ამ ისედაც გაუბედურებულ სიტუაციაზე?! ტენდერებში მოგებული კომპანიები საშინელ დღეში არიან. ერთი წლის წინ მოიგო ტენდერი, მაშინ სულ სხვა იყო ლარის კურსი, დღეს კიდევ ვხედავთ, სად გაიქცა. აღარ ვიცი, რომელი სფერო, რომელი რგოლი ჩამოვთვალო და ვის შევეხო, ისეთი სიტუაციაა. ამიტომ სახელმწიფომ უნდა დააწესოს თანაბარი პირობები. თუ დახმარებაა, ეს გადანაწილდეს თანაბრად ყველა სფეროზე.

— ნებისმიერი ბიზნესი თუ კერძო მეწარმე თანაბარ პირობებში უნდა ჩააყენოს?

— რა თქმა უნდა. კერძო ბიზნესი საშინელ დღეშია. მათაც გვერდში უნდა დაუდგეს სახელმწიფო.

— შერჩევითი მიდგომებია?

— ცხადია, შერჩევითი მიდგომები და არათანაბარ პირობებში ჩაყენებაა. 2021 წლის ბიუჯეტს განიხილავენ. დევს იქ დახმარებები? ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— პირდაპირ მიბმულია ლარის კურსზე პირველადი მოხმარების პროდუქტები, მარკეტებში უკვე კატასტროფული ფასებია. უმუშევრად დარჩენილ მოსახლეობას ეს კიდევ უფრო მძიმედ აწვება.

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა, როდესაც ადამიანი უმუშევარია, მით უმეტეს, თუ ბანკების ვალიც აქვს. ერთ საათს არ აცდიან ბანკები, არ აინტერესებთ, არ შედიან ადამიანის მდგომარეობაში. უსინდისოდ იქცევიან. ასეთი სიტუაცია კი ანგრევს საკრედიტო ბაზარს. ლარმა ისედაც დაკარგა ნდობა, ეს კი გამოიწვევს ფულის გადინებას. გააქვთ ფული, დოლარებში ახურდავებენ. ყველას ურჩევნია, დოლარი ეჭიროს ხელში.

— რა გამოსავალს ხედავთ შექმნილი სიტუაციიდან?

— ძალიან სერიოზული საქმეა გასაკეთებელი. შესასწავლია ყველა მიმართულება. არა მარტო პურის ფქვილის სუბსიდირება უნდა მოხდეს და ტურისტულ ბიზნესს დაეხმარონ, მთლიანად შესასწავლია სიტუაცია, რა შეიძლება გაკეთდეს პირველ კვარტალში, რა — მეორე კვარტალში. დღეს ქვეყანა გაჩერებულია, ბანკებს როგორ უნდა გადაუხადონ ფული? უნდა გადაიხედოს ეს პოლიტიკა. სამსახური რომ დაკარგა ადამიანმა, იმან როგორ იხადოს კრედიტი, რომლის პროცენტი ძალიან მაღალია?! ახალი ბიუჯეტი უნდა გაკეთდეს და იქ უნდა ჩაიდოს დახმარების პაკეტები. ეს პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, ყველამ უნდა დაინახოს, სად მიდის ესა თუ ის დახმარება, სად მიდის ბანკის რეზერვები, როგორი ტენდენციებია. ეს ყველაფერი უნდა ჩაიდოს ბიუჯეტში და გაიწეროს, თორემ ადამიანებს გაუჩნდათ ნევროზი, დაავადდნენ.

— არასტაბილურობის განცდაა?

— ძალიან არასტაბილური და გაურკვეველი სიტუაციაა. ხალხმა ისიც ვერ გაიგო, ვაქცინის გამოჩენა უნდა უხაროდეთ თუ არა. ვიყიდეთ, არ ვიყიდეთ, ან ვისგან ვიყიდეთ? ძალიან სათუთი თემებია. მაქვს უფლება, ვიცოდე, ვის ვაქცინას მიკეთებ, ფაიზერს თუ რუსეთის?! ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გამოვკეტეთ ადამიანები სახლში და გავხადეთ შრომისუუნარო. ის, გინდა, არ გინდა, შორდება თავის საქმიანობას და ყველა მიმართულებით ეცემა შრომის ნაყოფიერება. ყველა მიმართულებით რთული სიტუაციაა. მხოლოდ სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულები არიან მშვიდად. იმუშავებენ თუ სახლში ისხდებიან, ხელფასს მაინც მიიღებენ. ადამიანებს რაღაც მინიმუმ ხომ მაინც უნდა მისცენ! აღარავინ იცის, რა ჯობია, პურის ფასის სუბსიდირება თუ მყიდველისთვის ფულის მიცემა. იქნებ პურს სულ არ ვყიდულობ მე! ყველას სჭირდება სახელმწიფოსგან სიკეთე და ეს თანაბრად უნდა გადავანაწილოთ!

გოგი წულაია: „კობახიძეს არ ესმის, რას ლაპარაკობს“

„პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის ერთადერთი გზა რიგგარეშე არჩევნებია“

მარიამ მჭედლიშვილი

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა 11 ნოემბერს გაიმართება. ოპოზიცია მასში მონაწილეობას ისევ არ აპირებს, თუმცა, შესაძლებელია, ახალ პარლამენტში მუშაობაზე უარი არ თქვას რამდენიმე ოპოზიციონერმა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ გოგი წულაიას.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ რამდენიმე ოპოზიციონერი არღვევს პირობას და შედის ახალარჩეულ პარლამენტში. პირველი სხდომა 11 ნოემბერს უნდა გაიმართოს. „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი ამას ეხმაურება და სვამს რიტორიკულ კითხვას: „იმისთვის ვიჯექი ციხეში, რომ ესენი ბიძინას კალთაში ჩამსხდარიყვნენ?!“ თქვენ რას იტყვით?

– ყველა თვითონ ჭედავს თავის ბედს, მათ შორის ის ოპოზიციონერები, რომლებიც სიტყვას გატეხენ და პარლამენტში შევლენ. მე მათ ჩემზე არაფერს ვეტყვი. ისე, შემიძლია, ასეთ პოლიტიკოსებს მეც მივმართო და დავამადლო, რომ ამისთვის არ მიბრძოლია, ამისთვის არ მიმიღია ტრავმები და მირბენია. თუმცა მათ არაფერს დავამადლი, ისე კი ვიტყვი, რომ ახალარჩეულ პარლამენტში შესული ნებისმიერი ოპოზიციონერი პოლიტიკურ ჰარაკირის გაიკეთებს. გეგმებს ძალიანაც ნუ დააწყობენ. რა იციან, ხვალ რა ხდება!

– ფიქრობთ, რომ მეათე მოწვევის პარლამენტი დღეგრძელი არ იქნება?

– კაცმა არ იცის, რა მოხდება. ვერავინ იტყვის, ეს პარლამენტი ერთი თვე გაძლებს, ექვსი თვე თუ ერთი წელიწადი. იქნებ 11 ნოემბერსაც ვერ გაიმართოს სხდომა!

– ასეა საქმე?

– ნახეთ, რა ხდება! ხალხს კისერში აქვს ამოსული სიდუხჭირე, უსამართლობა და შეუსრულებელი დაპირებები. ამას ემატება აუტანელი ჩაკეტვები. ხელისუფლების მიმართ გროვდება აგრესია. არც იმ ოპოზიციას დაადგება კარგი დღე, რომელიც პარლამენტში შევა. მათ ადამიანებისგან გინება არ ასცდებათ. ხალხის მოთმინების ფიალაც აივსება და არაფრისგან არა ვართ დაზღვეული. ხალხმა შეიძლება ყველა წალეკოს.

– „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ მომავალ წელს პარლამენტი ყველა დეპუტატით იქნება წარმოდგენილი. ეს განცხადება მთლად გასაგები არ უნდა იყოს.

– ეს არის უგუნური განცხადება. რის საფუძველზეა კმაყოფილი კობახიძე? რამდენიმე ოპოზიციონერი კი არა, მთელი ოპოზიციაც რომ შევიდეს პარლამენტში და აიღოს მანდატები, ხალხის განწყობას რას უშვრებიან?!

– ხალხის განწყობა არ შეიცვლება?

– თუ შეიცვლება – უარესობისკენ. მელიათი დაწყებული, ნათელაშვილით დამთავრებული, ყველა რომ შევიდეს პარლამენტში, ხალხის ბოღმა კი არ გაქრება! „ოცნებას“ სულ 48% აქვს აღებული, ისიც, ოფიციალური მონაცემებით. ოპოზიციის მხარდამჭერია 51%. მოსახლეობის უმეტესობას მმართველი პარტია და ეს ხელისუფლება ეზიზღება. თუ ოპოზიციამ დეპუტატების მანდატები მოირგო, სიძულვილი ოპოზიციაზეც გადავა. ადამიანების რისხვა გროვდება და არავინ იცის, როდის გადმოიფრქვევა ლავად.

– ჩაკეტვები ახსენეთ. ახლანდელ შეზღუდვებს ადამიანები უფრო კრიტიკულად შეხვდნენ.

– აბა, რა იქნებოდა! ისედაც სიღარიბეში იხრჩობა მოსახლეობა. გაზაფხულზე ხომ გააჩერეს ყველაფერი. ახლა კიდევ გაიმეორეს. დაზარალებულების ნაწილს 200 ლარს ჰპირდებიან. ეს არის უპასუხისმგებლობა და ხალხის დაცინვა. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს ეუბნება, სულ ფეხებზე მკიდიხარ, როგორც გინდა, ისე გაიტანე თავიო.

– ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის უთანხმოებასა და მიმდინარე მოლაპარაკებებს შევეხოთ. უცხოელი პარტნიორები იმედოვნებენ, რომ თანხმობა მიიღწევა.

– ოცდამეერთე საუკუნეში ვცხოვრობთ. მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეში ყველგან, აშშ-თი დაწყებული, იაპონიით დამთავრებული, პოლიტიკური კრიზისების განმუხტვა ხდება ახალი არჩევნებით. რიგგარეშე არჩევნები ყველგან არის კრიზისის განმუხტვის ერთადერთი საშუალება. „ქართული ოცნება“ ამას არ სთანხმდება. ამიტომ არ მესმის, როგორ მიიღწევა თანხმობა. უცხოელი პარტნიორები პატივსაცემი ხალხია. მათ ჩვენთვის კარგი უნდათ, მაგრამ ჩვენ ვართ სამარცხვინო მდგომარეობაში.

– კერძოდ?

– სირცხვილია, რომ ერთი მოდგმის, ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ერთმანეთს ვერ ვესაუბრებით. იმისთვის, რომ ერთმანეთთან დიალოგი გავმართოთ, ინგლისურენოვანი პირების ჩარევა გვჭირდება. 1991-92 წლებში ვერ ვიპოვეთ საერთო ენა და ერთმანეთი ვხოცეთ. ახლა უცხოელი მეგობრები გვეხმარებიან საქმის გარჩევაში. იუმორით ამას შევადარებდი, ქურდებს რომ ეძახიან ხოლმე საქმის გასარჩევად, იმ მდგომარეობას. ვერ გავიგე, რატომ გვიმალავენ, რაზე საუბრობენ.

– ეს ინფორმაცია, მართლაც, გასაიდუმლოებულია.

– სამხედრო საიდუმლოებას ხომ არ განიხილავენ! ატომურ და წყალბადის ბომბებზე არ მსჯელობენ. თუ ჩვენი ბედი წყდება, თუ უნდა გაირკვეს, ბედნიერი უნდა ვიყო თუ უბედური, მონა თუ თავისუფალი, მაშინ გვითხრან, რაზე საუბრობენ. მალავენ, მალავენ და მერე ხელისუფლებიდან ვიღაც რაღაცას წამოაყრანტალებს ხოლმე. თანხმობა, არ მესმის, რაზე უნდა იყოს. ხელისუფლებას არჩევნები არ უნდა. მწვავე პოლიტიკური კრიზისია. აუცილებელი კი არ არის, მუდმივად ქუჩაში ხალხი იდგეს და ყვიროდეს. კრიზისის საშველი ახალი არჩევნებია. ხელისუფლება ამას არ სთანხმდება. ამიტომ კონსენსუსი წარმოუდგენელია.

„ნებისმიერი ოპოზიციონერის პარლამენტში შესვლა მისი პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნება“

გიორგი ბარამიძე: „2 დღეში გაირკვევა, ვინ რას აპირებს“

იაგო ნაცვლიშვილი

6-7 ოპოზიციონერი პოლიტიკოსი პარლამენტში შესვლას აპირებს?! უფრო კონკრეტულია ნიკა გვარამია, რომელიც ასევე 7 პოლიტიკოსზე საუბრობს, მათ შორის ასახელებს ერთს და ეს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძეა, რასაც თავად ვაშაძე გამორიცხავს.

რა ხდება ოპოზიციაში, ჩნდება თუ არა პირველი ბზარები, რას გამოაჩენს ეს და იქნება თუ არა პოლიტიკური თვითმკვლელობა? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ბარამიძე** საუბრობს.

– ნიკა გვარამიამ თქვა, რომ ოპოზიციიდან 7 პოლიტიკოსი შედის პარლამენტში. რა ხდება ოპოზიციაში და დაირღვა თუ არა ერთობა?

– ნამდვილად არ ვიცი. მე შემიძლია გითხრათ ნაციონალურ მოძრაობაზე. ჩვენ ვართ ერთსულოვანი და ნამდვილად არ ვაპირებთ შესვლას, ჩვენგან არავინ შედის. სხვების თავში რა ტრიალებს, ძნელი სათქმელია. საჯაროდ არავის უთქვამს, რომ შედის, მაგრამ მარჩიელობას აზრი არა აქვს. სულ რამდენიმე დღე დარჩა და გაირკვევა, ვინ აპირებს და ვინ არა.

– თუ ვინმე შევა, ეს რას გამოაჩენს და ოპოზიციის ერთობაში ხომ არ გაჩნდება ბზარები თუნდაც რამდენიმე ადამიანის შესვლით?

– ჩვენ არაერთხელ ვთქვით ოპოზიციაში და აქამდე ყველა ამ აზრზე იყო, რომ ვინც არ უნდა შევიდეს, რა საბაბით თუ მოტივითაც არ უნდა გაკეთდეს, ის შევა პირდაპირ „ოცნებაში“. პირდაპირ ასე იქნება ეს როგორც ხალხის თვალში, ისე სინამდვილეში.

– ეს იქნება ამ პოლიტიკოსებისთვის პოლიტიკური თვითმკვლელობის ფასი?

– რა თქმა უნდა, იქნება, იმიტომ, რომ ამით ისინი შეურაცხყოფენ საკუთარ ამომრჩეველს, რომელმაც ხმა მისცა ცვლილებებს და ხმა მისცა ივანიშვილის შეცვლას. ფაქტობრივად, გამოვა, რომ ივანიშვილის შეცვლისთვის კი არ მიუცია ხმა, არამედ ივანიშვილთან შეერთებით და მის წისქვილზე წყლის დასასხმელად. რაც არ უნდა თქვან, ეს არ გამოვა.

ვიღაცები ლაპარაკობენ, აი, დეპუტატის მანდატს არ მოვიხსნი, მაგრამ სხვა ფორმით ვიბრძოლებო და ა.შ. ეს ყველაფერი სიტყვის მასალაა. როგორც ხალხურ ენაზე ამბობენ, ამას არავინ „ჭამს“.

– თავს „იპრავებენ“?

– ახლა საბაბის მოგონებაა. როცა შუბლის ძარღვგაწყვეტილი ხარ და დემაგოგი, საიდანაც გინდა, იქიდან მოაბამ კუდს. ამის მცდელობა აქვთ, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ივანიშვილის საქმეს აკეთებ. მას ისედაც აქვს გადანაწილებული როლები თავის კარზე – ზოგი რადიკალურია, ზოგი კრიტიკულია, ზოგი ისეთია და ასეთი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მის საქმეს აკეთებენ. ის, ვინც შევა პარლამენტში, მასაც თავისი როლი ექნება და ისიც ივანიშვილის საქმეს გააკეთებს.

– რა გამოდის, ამ ხნის განმავლობაში ივანიშვილი ოპოზიციასთან ვაჭრობდა?

– ვაჭრობით რომ ვაჭრობს, ეს ბუნებრივია, მაგრამ მეორე საკითხია ის, თუ ვინ გაიყიდა და ვინ – არა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ივანიშვილს დიდი ფული აქვს და ყველა ამბობს, ამდენი ფულით ადამიანს როგორ უნდა დაუდგე და როგორ უნდა შეეწინააღმდეგო! აქამდე ოპოზიციის ვაჟკაცობა იყო, რომ მიუხედავად ამ ფულისა, დაშინებისა, ხელების გადაგრეხისა, დაჭერის მცდელობისა თუ სხვა პრობლემის შექმნისა, ოპოზიციიდან ყველა მაგრად იდგა. ახლა თუ ვინმე გატყდება და ივანიშვილს შეუერთდება, ამასაც დაინახავს საზოგადოება.

– ამ ფონზე აზრს ხომ არ კარგავს ის მოლაპარაკებები, რომლებიც იმართება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის?

– მე მესამე რაუნდის დასრულებისთანავე ვთქვი ერთ-ერთ გადაცემაში, რომ მას შემდეგ, რაც თალაკვაძემ თქვა, არ განვიხილავთ არც ხელახალ არჩევნებს და არც როგორც კომპრომისულ ვარიანტს, პლებისციტს, რომ ხალხს ვკითხოთ, უნდა თუ არა არჩევნების დანიშვნაო. ამაზეც თქვეს უარი და ამაზე ვთქვი, რომ აზრი დაეკარგა მეოთხე რაუნდს. მთავარია, რომ არავინ შევიდეს იმ პარლამენტში და მარტო დარჩეს ივანიშვილი. ეს გაირკვევა 11 დეკემბერს.

– სწორად მიგაჩნიათ ის, რომ შეხვედრიდან გამოსული პოლიტიკოსები, ფაქტობრივად, არაფერს ეუბნებიან საზოგადოებას. ამომრჩეველს არ აქვს პასუხი, თუ რა საკითხების განხილვა მიმდინარეობს, რაზე მოხერხდა შეთანხმების მიღწევა და რაზე – არა. ამაზე არ გრძნობთ ოპოზიცია პასუხისმგებლობას ამომრჩევლის წინაშე, რომ სრული ინფორმაცია მიაწოდოთ?

– პასუხისმგებლობას ყოველთვის ვგრძნობთ. იმის მიუხედავად, ვსაუბრობთ თუ არ ვსაუბრობთ. ყოველთვის გაქვს პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ იცის, რა მიზნებით ვართ ამ მოლაპარაკების პროცესში შესული და რომ ჩვენი ამერიკელი და ევროპელი ელჩების მონაწილეობითა და დახმარებით რამენაირად ვაიძულოთ პუტინისტური რეჟიმი, წამოვიდეს რამდენიმე საკითხთან მიმართებით დათმობაზე.

პირველია ხელახალი არჩევნები, ცესკოს თავმჯდომარისა და ადმინისტრაციის შეცვლა, რათა ისეთივე გაყალბებული არჩევნების ჩატარება ვერ შეძლოს ხელისუფლებამ. მესამე კი არის ის, რომ მეტ-ნაკლებად ნორმალური საარჩევნო გარემო იყოს და, თუ ასეთ გარემოზეა საუბარი, გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები და პოლიტიკური დევნა შეწყდეს. ეს არის მოლაპარაკების თემა, დანარჩენი კი დეტალებია. ჩვენი მეგობარი ქვეყნების ელჩებმა გვითხრეს, თუ გინდათ, მონაწილეობა მივიღოთ ამ პროცესში და დაგეხმაროთ, მაშინ მოგვეცით საშუალება, ჩვენ წარვმართოთ პროცესი, ხოლო სანამ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაშინ დეტალების განხილვა ნუ იქნებაო.

ჩვენ არაფერი დასამალი არ გვაქვს ხალხთან, მაგრამ, რადგან ეს თხოვნა აქვთ ამერიკისა და ევროკავშირის ელჩებს, მაშინ ეს უნდა გავითვალისწინოთ. ბევრმა გამოხატა წყენა, მაგრამ, მგონი, საწყენი არაფერია, რადგან ამას გვთხოვენ ელჩები. ვაცადოთ, იქნებ რამე გამოვიდეს. სხვა რა დაგვრჩენია?! მაინც არ შევდივართ პარლამენტში და ვაგრძელებთ ბრძოლას. მადლობა მინდა ვუთხრა ამომრჩეველს გამძლეობისა და მოთმინებისთვის. მათ მინდა ვუთხრა, რომ თუ ისინი გვაძლევენ ხმას და უნდათ, ქვეყნის მართვა ჩვენ გვანდონ, ყველას კარგად წარმოუდგენია, რომ მთავრობაში ყოფნისას საიდუმლოების შენახვა ხდება და, თუ ამას გვანდობენ, ამ მოლაპარაკებაზე დროებით დეტალებზე რომ არ ვილაპარაკოთ, ეს რატომ იწვევს ვინმეში გაღიზიანებას, ეს არ მესმის.

– ახსენეთ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი და, როგორც ცნობილი ხდება, ოპოზიცია ითხოვთ, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება მოხდეს არასამთავრობოებით. რას შეცვლის ეს პრინციპულად?

– ეს ის დეტალებია, რომლებზეც ამერიკისა და ევროკავშირის ელჩების თხოვნაა, ჯერ ნუ ისაუბრებთო. როდესაც დამთავრდება ეს პროცესი, ყველაფერზე იქნება საუბარი.

ნიკა გვარამია: „ეთერს რომ მათხოვრობდით წინასაარჩევნოდ, ის გიორგი ვაშაძე არ ხართ?!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ტი გვარამიას გაპიარებული ნაცმოძრაობიდან, როგორც ეს წინასაარჩევნოდ მოხდა, როცა მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ მას ისანში ხატია დეკანოიძის კანდიდატურა დაუყენა, ოპოზიციური შეთანხმების მიუხედავად, რითაც ქართველმა ხალხმა წააგო.

– არც ქოცი, არც ნაცი, ამომრჩეველი უნდა გავაერთიანოთ იმისათვის, რომ ამ მოჯადოებული წრიდან გამოვიდეთ. არც ერთ შემთხვევაში არ ვაპირებ სხვის რიტორიკასა და ამ ბინძურ ქმედებებზე აყოლას. ყველას ვეუბნები, თავი შეიკავეთ ამ სიბინძურისგან და ამ თავდასხმებისგან. ჩემი და თქვენი გზები, როგორც ჩანს, მართლაც განსხვავდება, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

მისივე თქმით, მას უნდა, ბიძინა ივანიშვილი მოაშოროს ქვეყანას, ნაცმოძრაობასა და ნიკა გვარამიას კი სურთ, მუდმივად პირველები იყვნენ.

– მე მინდა, ივანიშვილი მოვაშორო ამ ქვეყანას და მისი ხელისუფლება, თქვენ გინდათ, მთელი ცხოვრება მუდმივად პირველები იყოთ ოპოზიციაში და ამ შეხვედრაზე იმიტომ შევდივარ, რომ შედგეს საერთო შეთანხმება, რომლითაც ფუნდამენტს ჩავუყრით ამ ქვეყნიდან ბიძინა ივანიშვილის მოშთობას, – აღნიშნა პოლიტიკოსმა „ოცნებასთან“ მეოთხე შეხვედრის დაწყებამდე.

მისივე თქმით, გვარამიას მსგავსი თავდასხმების მიზანია, დამოუკიდებელ ოპოზიციონერ ლიდერს ესროლონ ტალახი ჩასაძირად.

– „მთავარმა არხმა“ სიუჟეტი გააკეთა, ვითომ ჩვენ ძირგამომთხრელ საქმიანობას ვაპირებთ ოპოზიციასთან მიმართებით. ამას არ ვაპირებთ. ნიკა გვარამიას ჩემი ტელეფონი აქვს და შეუძლია დამირეკოს. არც კი უკითხავს არაფერი, საერთო ოპოზიციურ ფორმატში ვიღებთ მონაწილეობას. სხვა ოპოზიციურ პარტიებსაც მოვუწოდებ, კარგად დაფიქრდით. რა თქმა უნდა, ყველა ერთიანი უნდა ვიყოთ, მაგრამ ჩვენ ჩვენი გზა უნდა ავირჩიო იმისთვის, რომ მძევალი არ ვიყოთ, – განაცხადა ვაშაძემ.

დღის მეორე ნახევარში „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერს ნიკა გვარამიამ ფეისბუქში ასე უპასუხა:

„ბატონო გიორგი ვაშაძე, რა, ჩემ მიერ მხარდაჭერილმა ძალებმა, თან ჩემი მონაწილეობით, დაგიყენეს ისანში კანდიდატი? თან იმ ისანში, სადაც მეორე ადგილზეც ვერ გახვედით? რა, მთავარი არხი გიძღვნიდათ ბინძურ სიუჟეტებს?! რას ჰქვია, არ დაგირეკეს? პასუხზე რომ უარი თქვით, თქვენ არ იყავით?!! ეთერს რომ მათხოვრობდით წინასაარჩევნოდ და ახლა ვერ მოგიყვანეთ სტუდიაში, თქვენ ის გიორგი ვაშაძე არ ხართ?!!

უკაცრავად, რა ისტერიკა, სიგიჟე და ბინძური ტყუილია?!!

მობრძანდით დღეს ეთერში და მომიყევით მეც და მაყურებელსაც, ვის და რაში ადანაშაულებთ?!!

ძალიან სირცხვილია“.

10 წლის გოგონასთან გარყვნილი ქმედებისთვის სილნაღში მამაკაცი დააკავეს

სილნაღის მუნიციპალიტეტში 10 წლის გოგონასთან გარყვნილი ქმედების ბრალდებით მამაკაცი დააკავეს. სამართალდამცველები ახალგაზრდა კაცს მეზობელ გოგოსთან გარყვნილ ქმედებას ედავებიან.

ბავშვის ოჯახმა მომხდარის შესახებ პოლიციას თავად შეატყობინა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც გარყვნილ ქმედებას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაული 5-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ზუგდიდთან 1 ადამიანი დაიღუპა

ზუგდიდის სოფელ ჭითაწყარში 6 დეკემბერს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა. მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანა, თუმცა ის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

შს სამინისტრომ გამოძიება სსკ 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

ბათუმის ტრასაზე მანქანა მოტოციკლს დაეჯახა

1 ადამიანი დაშავდა

ბათუმი-ხელვაჩაურის დამაკავშირებელ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი მძიმედ დაშავდა.

დაშავებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკა „მედინაში“ გადაიყვანა. ექიმების ინფორმაციით, პაციენტს სხეულზე მრავლობითი მძიმე ტრავმები აქვს მიღებული.

ავტოსაგზაო შემთხვევისას ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და მოტოციკლი შეეჯახნენ. ადგილზე სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული. ფაქტზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 705 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 705 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად, 106 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად, 599 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასა და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით, განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

ნიუ იორკში 18 წლის ჯაბა ადამია მოკლეს

პოლიცია შავებში ჩაცმულ თეთრკანიან მამაკაცს ეძებს

6 დეკემბერს ნიუ იორკში 18 წლის ჯაბა ადამია მოკლეს.

ამის შესახებ ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა ჟურნალისტმა ირაკლი დანელიამ ფეისბუქში დაწერა:

„მოკლედ, რა საშინელი წელია ეს 2020... (კორონავირუსი, მკვლელობები, შატილის ტრაგედია და რომელი ერთი კიდევ, რომ ჩამოთვალო, არ გეყოფა).

ჯერ იყო და ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის ტკივილი არ გაგვნელებია არავის და ცოტა ხნის წინ შემძრა ინფორმაციის გაგებამ, რომ 18 წლის ეს საოცარი ბიჭი – ჯაბა ადამია სასიკვდილოდ გაუმეტებია და დაუჭრია ვიღაცას წუხელ საღამოს ნიუ იორკში.

ვინც იცის ნიუ იორკის უბნები, ბრუკლინში East 21 ქუჩისა და AVENUE P-ს (P გამზირის) კვეთაზე, საკუთარი სახლიდან დაახლოებით ნახევარი მილის მოშორებით უპოვიათ უგონო მდგომარეობაში მყოფი. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტმა, ფაქტზე საგამოძიებო ქმედებები მიმდინარეობსო, დაზუსტებით ჯერ არ ვიცი, მაგრამ, იმედია, არ გავიგებ, რომ ქართველის ხელი ურევია ამ ბიჭის მკვლელობის საქმეში...

ვიზიარებ ოჯახისა და ახლობლების მწუხარებას. მართლაც რომ ზედმეტია სანუგეშო სიტყვები ამ დროს“.

მოგვიანებით მკვლელობის შესახებ ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

– ჯაბა ადამიას კვირას, საღამოს 5:30 საათზე, E. 21-ე სტრიტზე, ქვენტინ როუდის გვერდით დაესხნენ თავს და დანით ჭრილობები მიაყენეს. ეს მოხდა შიპშედ ბეიზე მდებარე მისი სახლიდან დაახლოებით 1 მილის მოშორებით, – ამბობენ ნიუ იორკის პოლიციაში.

პოლიცია ეძებს მთლიანად შავებში ჩაცმულ თეთრკანიან მამაკაცს, რომელიც შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და მიიმალა.

– მან ახლახან დაამთავრა საშუალო სკოლა და კოლეჯში სწავლის გაგრძელებას აპირებდა, – უთხრა მედიას ჯაბა ადამიას მეგობარმა.

ჯაბა ადამია უკრავდა გიტარაზე და მისი ვიდეოები სოციალურ ქსელში პოპულარობით სარგებლობდა.

12 წლის მოზარდი ქარელის სკოლის მასწავლებელს გარყვნილ ქმედებაში ადანაშაულებს

12 წლის მოზარდი ქარელის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელს გარყვნილ ქმედებაში ადანაშაულებს. მოზარდმა მომხდარის შესახებ ოჯახის ერთ-ერთ წევრს აცნობა, რის შემდეგაც დაიწყო გამოძიება.

ამ დროისათვის უკვე გამოკითხულია მასწავლებელი, რომელიც ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

– არაფერი არ ყოფილა. პოლიცია იყო სკოლაში, დაათვალიერეს ვიდეოკამერები, მაგრამ არაფერი. 20 წელია ვმუშაობ, დამოკიდებულება მქონდა ისეთი, როგორც მასწავლებელს ბავშვთან. ან რატომ გახმიანდა ასე, არ ვიცი, პოლიციაში მითხრეს, ტელეფონის ჩამორთმევაზე იყოო და სხვა არაფერი. საქმე 141-ე მუხლით ალბათ იმიტომ აღიძრა, რომ ბავშვს დავუყვირე, – აცხადებს „კურიერთან“ მასწავლებელი.

სკოლის დირექტორის თქმით, ადმინისტრაციამ კანონის შესაბამისად იმოქმედა და შესაბამის უწყებებს დაუკავშირდა. მისივე განმარტებით, ადგილზე უკვე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა პოლიციას სათვალთვალო კამერების ჩანაწერებში საეჭვო არაფერი უნახავს.

– არსებობს დოკუმენტი, სადაც გაწერილია, რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ. კონკრეტული ნაბიჯები გადავდგით, სოციალურ საგენტოს მივმართეთ და შინაგან საქმეთა სამინისტროს შევატყობინეთ. პოლიცია იყო სკოლაში, სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ნახეს და იქ საეჭვო არაფერი აღმოჩნდა, – აცხადებს ქარელის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი.

22 წლის ქალი ჯერ ბოძს შეასკდა, მერე ბოძი დაეცა მანქანას

მძიმე ავარია კახეთის გზატკეცილზე

6 დეკემბერს კახეთის გზატკეცილზე მსუბუქი ავტომობილი ბეტონის ჯებირს შეეჯახა და შემთხვევის შედეგად ადგილზე ამავე ავტომანქანის მძღოლი, 22 წლის გოგონა დაიღუპა.

გარდაცვლილის მეგობარი „მთავართან“ სატელეფონო ინტერვიუში ამბობს, რომ მძღოლი მანქანას, სავარაუდოდ, დიდი სიჩქარით მართავდა.

– მე კარანტინში ვარ. მომხდარი ავარიის შესახებ მეგობრებმა მითხრეს, ფოტოებიც გამომიგზავნეს. ვინც დაიღუპა, არის ჩემი ჯგუფელი და ახლო მეგობარი. საერთო მეგობარმა მითხრა, რომ ავარიას გვერდზე აუარა და გააჩერა, ნახა, რომ მანქანაში ჩვენი ჯგუფელი იყო და ადგილზევე გარდაიცვალა. 22 წლის იყო.

ეს გოგო მიდიოდა დიდი სიჩქარით და, რადგანაც ნაწვიმარი იყო, საჭე ვერ დაიმორჩილა და შეეჯახა ბეტონით აშენებულ ბოძს. ეს ბოძი არის შემდეგ გადმოყირავებული და მანქანას დაეცა ზევიდან, – ამბობს კარინა შონია.

ავარიისას დაღუპული 22 წლის ანა გოგრიჭიანია.

როგორც მისი სოციალური ქსელიდან ირკვევა, გოგონა მოყვარული ავტომრბოლელი იყო.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო, რაც მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

შსს-მ საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალური შევიწროების შესახებ ანგარიშის ონლაინპრეზენტაცია გამართა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებრივ ადგილებში განხორციელებული სექსუალური შევიწროების შესახებ ანგარიშის ონლაინპრეზენტაცია გამართა. ღონისძიება ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ყოველწლიურ 16 დღიან გლობალურ კამპანიას მიეძღვნა.

შეხვედრა გახსნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო ცაცია შვილმა, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა სამინისტროსთვის სექსუალურ შევიწროებაზე ეფექტიანი რეაგირების განხორციელების მნიშვნელობასა და პრიორიტეტულობას. მინისტრის მოადგილემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა სექსუალური შევიწროების ფაქტების დროულად გამოვლენისა თუ პრევენციის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირებულობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

2019 წლის 10 მაისიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სექსუალური შევიწროების მუხლი ამოქმედდა, 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საზოგადოებრივ ადგილებში განხორციელებული სექსუალური შევიწროების 43 ფაქტი იქნა გამოვლენილი, რომლებიც განსახილველად სასამართლოს გადაეცა. 2019 წელს სექსუალური შევიწროების – 19, ხოლო 2020 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში 24 ფაქტი იქნა იდენტიფიცირებული.

არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სექსუალური შევიწროების ჩადენა ძირითადად ქუჩასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხდება, რაც უმეტესად, სხვადასხვა ფიზიკური ფორმის სექსუალური ხასიათის ქცევაში გამოიხატება. პრაქტიკის ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტების უმრავლესობა დღის საათებში ხორციელდება.

სექსუალური შევიწროების მსხვერპლთა ასაკი – 16-დან 45 წლამდე, ხოლო სამართალდამრღვევთა ასაკი 17-დან 55 წლამდე მერყეობს. სამართალდარღვევის მსხვერპლნი ხდებიან როგორც ქალები, ისე კაცები, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, სექსუალური შევიწროება სწორედ ქალებისა და გოგონების მიმართ ხორციელდება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ ადგილებში განხორციელებული სექსუალური შევიწროების საქმეებზე გამოვლენილ სამართალდამრღვევთა მიმართ, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით ძირითად შემთხვევაში ჯარიმა გამოიყენება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სექსუალური შევიწროების პრევენციისა თუ ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, მუხლის ამოქმედებიდან დღევანდელ დღემდე არაერთი აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, პოლიციელთათვის შემუშავებულ იქნა სახელმძღვანელო რეკომენდაცია და მხარეებთან გასაუბრების ოქმების ნიმუშები, რომლებიც სექსუალური შევიწროების ფაქტებზე მხარეებისაგან სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

სექსუალური შევიწროების საკითხებზე აქტიურად მიმდინარეობს მართლწესრიგის ოფიცრების, პატრულ-ინსპექტორებისა და გამომძიებლების გადამზადება. დღესდღეობით 300-ზე მეტ სამართალდამცავს უკვე გავლილი აქვს შესაბამისი სწავლების კურსი. აღნიშნული პროცესი, პანდემიის გათვალისწინებით, ონლაინ-რეჟიმში კვლავ გრძელდება.

მოსახლეობაში ცნობიერებისა და ინფორმირებულობის ნაკლებობა კვლავ რჩება უმთავრეს გამოწვევად. მსგავს გამოწვევებთან ბრძოლის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად გააგრძელებს კოორდინირებულ მუშაობას შესაბამის უწყებებთან როგორც სექსუალური შევიწროების ფაქტებზე დროული რეაგირების, ასევე, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

ანგარიშის წარდგენა დისტანციურად, ონლაინრეჟიმში გაიმართა, რომელსაც სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნაცმოძრაობის წევრი ქუჩაში კოვიდინფიცირებული მოძრაობდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, „კოვიდ 19“-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული წესებისა და რეკომენდაციების აღსრულების მონიტორინგს განაგრძობს.

პოლიციამ დააჯარიმა სამტრედიის საკრებულოს წევრი, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი მამუკა ბიბილეიშვილი, რომელიც, კორონავირუსით ინფიცირების მიუხედავად, ქუჩაში გადაადგილდებოდა.

ფაქტთან დაკავშირებით შსს განცხადებას ავრცელებს, სადაც ვკითხულობთ:

„იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სამტრედიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის 7 დეკემბერს, 1973 წელს დაბადებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საკრებულოს წევრი მ.ბ. იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევისთვის დააჯარიმეს.

მ.ბ.-ს, 2020 წლის 29 ნოემბერს ჩატარებული ტესტირების შედეგად, „კოვიდ-19“-ით ინფიცირების ფაქტი დაუდგინდა, რის გამოც სპეციალისტების მიერ მის მიმართ თვითიზოლაციის რეკომენდაცია გაიცა. მას შემდეგ იგი კოვიდაღრიცხვაზე იმყოფება.

ინფიცირებულმა მამაკაცმა დაარღვია დადგენილი წესები, თვითნებურად დატოვა თვითიზოლაციის ადგილი და საკუთარი ავტომანქანით სამტრედიიდან ქუთაისის მიმართულებით გაემგზავრა.

სამართალდამცველებმა მ.ბ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42-ე პრიმა-10 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის 2.000 ლარით იმ დროს დააჯარიმეს, როცა იგი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანით გადაადგილდებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, დაიცვან კანონი და დაემორჩილონ დაწესებულ რეგულაციებს“.

გარეგინ II: „ფაშინიანი უნდა გადადგეს!“



გუშინ, 8 დეკემბერს, სომხეთის დედაქალაქ ერევანში სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქცია გაიმართა.

საპროტესტო აქციის დროს მომიტინგეებმა, რომლებიც პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის გადადგომას ითხოვენ, რამდენიმე ქუჩა და გამზირი გადაკეტეს.

საპროტესტო აქციების დროს სამართალდამცავებმა 34 ადამიანი დააკავეს.

სომხეთში 17 ოპოზიციური პარტიის მიერ დაფუძნებულმა „სამშობლოს გადარჩენის მოძრაობის საბჭომ“ მოქალაქეებს დაუმორჩილებლობის მშვიდობიანი აქციებისკენ მიუწოდა. საბჭომ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ 5 დეკემბერს გამართული დემონსტრაციის დროს ოპოზიციამ პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს გადადგომისთვის ვადა 8 დეკემბრის 12:00 საათამდე მისცა.

სომხური სამოციქულო ეკლესიის წინამძღვარმა გარეგინ II-მ პრემიერს გადადგომისკენ მოუწოდა.

„ყარაბაღის ომის შემდეგ ჩვენ განვიცდით ტკივილის, დარდისა და შფოთვის მძიმე დღეებს. მრავალმა მსხვერპლმა, ისტორიული ყარაბაღის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვამ, ომის კატასტროფულმა შედეგებმა და კიდევ უფრო დიდმა საგარეო საფრთხემ მოიცვა ჩვენი სულები და დაარღვია სამშობლოსა და დიასპორის სოლიდარობა, ეროვნული ერთიანობა. შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ და ღრმა შიდაპოლიტიკურმა კრიზისმა ჩვენი ქვეყანა ახალი საფრთხეების წინაშე დააყენა.

ეს ვითარება უნდა განიმუხტოს მხოლოდ კონსტიტუციური გზით, ეროვნული სოლიდარობისა და საღი აზრის პირობებში. საგანგაშო მოვლენებამდე ჩვენ ასევე შევხვდით სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს. საზოგადოებაში მზარდი დაძაბულობის, გარე და შიდა გამოწვევების, ასევე პრემიერ-მინისტრისადმი დაბალი საზოგადოებრივი ნდობის გათვალისწინებით, ჩვენ მამაშვილურად მოვუწოდეთ მას, უარი თქვას უფლებამოსილებაზე შესაძლო შეტაკებებისა და ტრაგიკული მოვლენების თავიდან ასაცილებლად“, – განაცხადა გარეგინ II-მ, რომელმაც გუშინ სპეციალური მიმართვა გაავრცელა.

სომხური სამოციქულო ეკლესიის წინამძღვარი ასევე მოუწოდებს სომხეთის პარლამენტს, გამოიჩინოს პასუხისმგებლობა და პოლიტიკურ ძალებთან შეთანხმებით აირჩიოს ახალი პრემიერ-მინისტრი და ჩამოაყალიბოს ეროვნული თანხმობის დროებითი მთავრობა.

„ჩვენ ასევე მოვუწოდებთ ქვეყნის პარლამენტს, რომ ამ გადამწყვეტ მომენტში იმოქმედოს პასუხისმგებლობით, მოუსმინოს ფართო საზოგადოების მოთხოვნებს, აირჩიოს ახალი პრემიერ-მინისტრი პოლიტიკურ ძალებთან კოორდინაციით და შექმნას ეროვნული თანხმობის დროებითი მთავრობა“, – განაცხადა გარეგინ II-მ.

პირველი მოქალაქე, რომელიც კოვიდ 19-ზე აცრეს, 90 წლის მარგარეტ კინანი გახდა

პირველი მოქალაქე, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში Pfizer/BioNTech-ს მიერ შექმნილი კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრეს, 90 წლის მარგარეტ კინანი გახდა.

მარგარეტ კინანს ვაქცინაცია კოვენტრის საუნივერსიტეტო კლინიკაში ადგილობრივი დროით 06:30 საათზე ჩაუტარდა.

გაერთიანებულ სამეფოში კორონავირუსის საწინააღმდეგო მასობრივი იმუნიზაციის პროგრამა 8 დეკემბრიდან დაიწყო. პფაიზერ ბიონტექის მიერ შექმნილი ვაქცინით პირველ რიგში 80 წელს გადაცილებული პირები, მედიკოსები და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და თანამშრომლები აიცრებიან. ქვეყანაში პირველი კვირის განმავლობაში, საერთო ჯამში, ვაქცინის 800.000-მდე დოზა იქნება ხელმისაწვდომი. საერთო ჯამში კი ქვეყნის მთავრობამ ვაქცინის 40 მილიონი დოზა შეიძინა, რაც 20 მილიონი მოქალაქის ასაცრელადაა საკმარისი.

პფაიზერ ბიონტექის ინფორმაციით, ვაქცინის ეფექტურობა 95%-ია.

აშშ ვენესუელის არჩევნებს არ ცნობს

კვირას ვენესუელაში მადუროს რეჟიმმა საპარლამენტო არჩევნები ჩაატარა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ ე.წ. საპარლამენტო არჩევნები სპექტაკლს წარმოადგენდა და აშშ მათ არ ცნობს.

– მსოფლიოს 60-მდე ქვეყანა, მათ შორის ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა და ევროკავშირი, არჩევნებს არ აღიარებს, – ნათქვამია განცხადებაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

აშშ-ში პიცის მომზადებას ნარჩენებისგან დაიწყებენ

ამერიკის ქალაქ სან-ფრანცისკოში პიცის მომზადებას ნარჩენებისგან დაიწყებენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს,

შეფმზარეულებმა, რომლებმაც ბრენდი Ugly Pickle Co შექმნეს, განაცხადეს, რომ კერძის მომზადებისას გამოიყენებენ ისეთ ინგრედიენტებს, როგორებიცაა სუბპროდუქტები, შემორჩენილი ბოსტნეული და ხილი, ასევე გადამუშავებული მარცვლეული. მათ აღნიშნეს, რომ საკუთარ პროდუქტს „ნაგვის ღვეზელს“ უწოდებენ.

პიცის მწარმოებლების თქმით, მათი პროექტი მიმართულია იმისკენ, რომ საკვები პროდუქტების ნარჩენები ყოველდღიურ ცხოვრებაში მინიმუმამდე დავიდეს და ადგილობრივ ფერმებს დაეხმარონ. აღნიშნულ კერძს ქალაქის ერთ-ერთ რესტორანს მიაწვდიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია წიგნის მაღაზიების გახსნას ითხოვს

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია წიგნის მაღაზიების დაჩქარებული წესით გახსნას ითხოვს და საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს ღია წერილით მიმართავს:

– მოგმართავთ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციიდან, რომელიც წლებია განსაზღვრავს და იცავს წიგნის სექტორის ინტერესებს, საავტორო უფლებებსა და ბეჭდვის თავისუფლებას საგამომცემლო სფეროში, ქმნის და ამკვიდრებს პროფესიული ეთიკის ნორმებს და ქართული წიგნის სექტორს წარადგენს ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით.

როგორც მოგეხსენებათ, ქართული საგამომცემლო სივრცე ძირითადად საშუალო და მცირე ბიზნესებისგან შედგება, შესაბამისად, უწყვეტ კრიზისულ პერიოდში აღნიშნული ბიზნესისთვის მკაცრი შეზღუდვების დაწესებას უმოკლეს დროში დამანგრეველი შედეგები მოჰყვება. მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე დაიხურა წიგნის მაღაზიები, აპრილის დასაწყისში კი მათ გადარჩენის ერთადერთი საშუალება, წიგნების ონლაინვაჭრობაც აეკრძალათ, რაც საქართველოში ოფიციალურად 27 აპრილიდან განახლდა.

საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 26 ნოემბერს უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ქვეყანაში მოქმედი წერტილოვანი შეზღუდვების გამკაცრებისა და გაფართოების გადაწყვეტილება მიიღო, რომელთა გათვალისწინებითაც, საქართველოს დიდ ქალაქებში ფუნქციონირება შეწყვიტეს წიგნის მაღაზიებმა. აღნიშნული ფაქტით, ცხადია, საგამომცემლო სექტორს დამატებითი, უაღრესად მძიმე ზიანი მიადგება. მიუხედავად იმისა, რომ ონლაინგაყიდვები შეზღუდვების ამ ეტაპზე დაშვებულია, შეუძლებელია უგულებელვყოთ ის სტაგნაციური და უსიცოცხლო პერიოდი, რომლის ფარგლებშიც, თვეების მანძილზე არ გამოიცემოდა ახალი წიგნები, არსებული მარაგის რეალიზაცია კი საგრძნობლად გართულდა.

მიმდინარე პროცესებით გამოწვეულმა ფინანსურმა ზარალმა მაისის თვის ჩათვლით, პირველი ჩაკეტვის შემდგომ, 10 მილიონი ლარი შეადგინა. როგორც მოსალოდნელია, აღნიშნული რიცხვი წლის ბოლომდე საგრძნობლად გაიზრდება და მიაღწევს იმ ნიშნულს, რომელიც სექტორს უმძიმესი დანაკარგებისა და გამოწვევების წინაშე დააყენებს.

პანდემიის საწყის ეტაპზე ასოციაციამ დეტალური 9-პუნქტიანი ანტიკრიზისული გეგმით მიმართა როგორც უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ პროცესში აქტიურად ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები, გულდასმით ვიცავთ პანდემიის საწინააღმდეგოდ მიღებულ ზომებსა და რეკომენდაციებს, კრიზისული პერიოდის დასაძლევად სრულად ვიაზრებთ ჩვენს წილ პასუხისმგებლობას. ამასთან, მიგვაჩნია, რომ უწყვეტი კრიზისული ფონის გათვალისწინებით, წიგნის მაღაზიების წელს უკვე მეორედ დახურვა მნიშვნელოვნად აფერხებს გამომცემლობებისა და გამავრცელებელი ორგანიზაციების ფუნქციონირებას, საფრთხეს უქმნის წიგნის სექტორში დასაქმებული პირების შემოსავლით უზრუნველყოფას უკიდურესად არასტაბილურ პერიოდში, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ წიგნის სფეროში მოღვაწე ადამიანებისა და ორგანიზაციების საქმიანობაზე, არამედ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზეც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად ჩვენ თვალწინ ჩამოიშალა მთელი რეგიონის მასშტაბით დაწინაურებული წიგნის გამოცემის საქმე, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ათეული წლების განმავლობაში ვითარდებოდა და საქართველოს წარმატებით წარმოაჩენდა საერთაშორისო ასპარეზზე; სფეროს მკვეთრი სტაგნაცია პირდაპირ აისახება როგორც კულტურულ და სალიტერატურო, ისე საგანმანათლებლო სფეროზე – წიგნის გამომცემელთა დიდი ნაწილი ჩაბმულია სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადების პროცესში. გაკოტრების პირას მყოფი ორგანიზაციები საგანმანათლებლო სფეროში ინვესტირებას ვერ მოახერხებენ, რაც აშკარა ზეგავლენას იქონიებს სახელმძღვანელოს ხარისხსა და პროფესიონალი ავტორების მოტივაციაზე, აქტიურად ჩაერთონ ახალი თაობის განათლების უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეში.

აღნიშნული მწვავე სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი და დროული ღონისძიებების გატარება წიგნის სექტორის დასახმარებლად. ვინაიდან ფინანსური თუ სხვა სახის შეღავათები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც საგამომცემლო სფეროსათვის, ისე ზოგადად ქართული წიგნის სექტორის გადარჩენისათვის, მოგმართავთ თხოვნით, უმოკლეს დროში აღმოუჩინოთ წიგნის მაღაზიებს, გამომცემლობებსა და გამავრცელებელ ორგანიზაციებს როგორც რეგულაციური, ასევე ფინანსური თუ სხვა ტიპის მხარდაჭერა, პანდემიის პერიოდში სრულად გაათავისუფლოთ სექტორი საშემოსავლო გადასახადისგან და მაქსიმალურად დაჩქარებულ რეჟიმში გახსნათ წიგნის მაღაზიები, ვინაიდან სწორედ აღნიშნული სექტორის სტაბილურობა და წინსვლა გარდაუვლად აისახება ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობასა და წარმატებულ მომავალზე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ახალი ლიგა ქართულ გუნდებს მეტ თამაშს ჰპირდება

მომავალი წელი პირველი იქნება ქართული ფეხბურთის ისტორიაში, როდესაც ჩვენს გუნდებს შანსი ექნებათ, ევროტურნირებს ვადაზე ადრე არ დაემშვიდობონ და მინიმუმ დეკემბრამდე ითამაშონ. ამის მიზეზი უეფაა, რომელმაც 2021-22 წლების სეზონიდან ევროთასების გათამაშებაში ცვლილებები შეიტანა.

ჩემპიონთა და ევროპა ლიგებს რანგით მესამე, კონფერენს ლიგა დაემატა, რომლის მიზანი დაბალი რეიტინგის ქვეყნების წარმომადგენლების შეჯიბრებაში მეტი ჩართულობაა.

ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 48 გუნდის ნაცვლად 32 დარჩება და სამივე ევროთასის გადამწყვეტ ეტაპზე 32 კლუბი ითამაშებს.

კონფერენს ლიგაში 3 საკვალიფიკაციო ეტაპი იქნება, შემდეგ 8 ოთხგუნდიანი ჯგუფი ჩამოყალიბდება. მერვედფინალში რვავე ჯგუფის გამარჯვებულს ევროპა ლიგის ჯგუფების მეორეადგილოსნები და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფების მესამეადგილოსნები (8-8) დაემატებიან. ესენი მერვედფინალამდე ერთმანეთში ფლეი ოფის ერთ რაუნდს გამართავენ. ასე შეიკრიბება 16 გუნდი.

შემდეგ, ჩვეულებრივ, მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და ფინალი გაიმართება. გამარჯვებული მომავალ სეზონში ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მონაწილეობის უფლებას მიიღებს.

პირველი ფინალი 2022 წლის 25 მაისს გაიმართება ტირანაში.

კონფერენს ლიგაში საქართველოდან 3 გუნდი მიიღებს მონაწილეობას: მეორეადგილოსანი, მესამეადგილოსანი და ქვეყნის თასის მფლობელი. ერთი მონაწილე უკვე ცნობილია – გაგრა.

კიდევ 2 საგზურის მფლობელი კი ხვალ ეროვნული ლიგის გათამაშების ბოლო ტურში გამოვლინდება.

რიჩი მაკქოუ დეკადის საუკეთესოდ აღიარეს

„მსოფლიო რაგბიმ“ განვლილი ათწლეულის საუკეთესო მორაგბე დაასახელა. რაგბის მმართველმა ორგანომ გამოკითხვა გულშემატკივრებს შორის ჩაატარა, რომელშიც მონაწილეობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიიღეს.

საბოლოო გადაწყვეტილებით, „მსოფლიო რაგბის“ 2010-წლიანი დეკადის საუკეთესო მორაგბე ახალი ზელანდიის ნაკრების ლეგენდარული კაპიტანი რიჩი მაკქოუ გახდა, რომლის ანგარიშზე 148 სანაკრებო კეპია და ჩატარებული მატჩების მხრივ შემოდგომის ტესტებამდე რეკორდსმენი გახლდათ, სანამ ალან უინ ჯონსმა არ გადაუსწრო. მაკქოუ მსოფლიო თასის 2-გზის გამარჯვებულია.

„მსოფლიო რაგბიმ“ განვლილი ათწლეულის საუკეთესო თხუთმეტეულიც გამოავლინა.

სიმბოლურ გუნდში ყველაზე მეტი, 7 მორაგბე ახალი ზელანდიიდან ფიგურირებს, 3 მორაგბე სამხრეთ აფრიკიდან მოხვდა, ირლანდია 2 მოთამაშით არის წარდგენილი, ხოლო თითო წევრი უელსიდან, ავსტრალიიდან და იტალიიდან არიან შეყვანილი. როგორც ხედავთ, სიმბოლურში ვერ მოხვდა ინგლისის ნაკრების ვერც ერთი მორაგბე.

2010-წლიანი დეკადის საუკეთესო გუნდი ასე გამოიყურება:

უკანა ხაზი

15. ბენ სმიტი (ა.ზელანდია), 14. ჯორჯ ნორსი (უელსი), 13. ბრაიან ოდრისკოლი (ირლანდია), 12. მაა ნონუ (ა.ზელანდია), 11. ბრაიან ჰაბანა (ს.აფრიკა), 10. დენ კარტერი (ა.ზელანდია), 9. ქონორ მარი (ირლანდია).

შეჯინება

1. ტენდაი მტავარირა (ს.აფრიკა), 2. ბისმარკ დუ პლესი (ს.აფრიკა), 3. ოუენ ფრენკსი (ა.ზელანდია), 4. ბროდი რეტალიკი (ა.ზელანდია), 5. სემ ვაითლოქი (ა.ზელანდია), 6. დევიდ ფოქოქი (ავსტრალია), 7. რიჩი მაკქოუ (ა.ზელანდია), 8. სერჯო პარისე (იტალია).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველო ესპანეთთან ერთად მოხვდა

შვეიცარიის ქალაქ ციურიხში 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართა და საქართველოს ნაკრების ჯგუფი გაირკვა. ჩვენი მეტოქეები იქნებიან ესპანეთი, შვედეთი, საბერძნეთი, კოსოვო.

ჩვენი ჯგუფი ხუთგუნდიანია და ამის მიზეზი ესპანეთის ნაკრებია, რომელიც მომავალი წლის ოქტომბერში უეფას ერთა ლიგის ოთხთა ფინალში თამაშობს და 2 სათამაშო ფანჯარა ამისთვის აქვს გამოყოფილი. შედეგად, ეს 2 ფანჯარა ჩვენთვისაც გამოინახა და ან უნდა დავისვენოთ, ან ამხანაგურად უნდა ვითამაშოთ იმ გუნდებთან, რომლებსაც ასეთივე კალენდარი აქვთ.

საქართველოს ნაკრებს ესპანეთთან და საბერძნეთთან თამაშის გამოცდილება გააჩნია, ხოლო შვედეთისა და კოსოვოს ნაკრებებს აქამდე არასდროს შეხვედრია.

საქართველო და ესპანეთი ერთმანეთს 3-ჯერ შეხვედრია – 1 მოგება, 2 წაგება, 1:3 ბურთების ბალანსი.

ამ ნაკრებების გზები პირველად 2012 წლის 11 სექტემბერს, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაიკვეთა. თბილისში უძლიერესი „ფურია როხა“ გვეწვია – იმ დროისთვის მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი. თემურ ქეცბაიას გუნდმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია და 86-ე წუთზე რობერტო სოლდადოს გატანილი გოლით წავაგეთ.

საპასუხო შეხვედრა 2013 წლის 15 ოქტომბერს ალბასეტეში შედგა, სადაც ვისენტე დელ ბოსკეს გუნდმა 2:0 მოიგო. გოლები ალვარო ნეგრედოსა და ხუან მატას ანგარიშზეა.

ბოლო დაპირისპირება კი ამხანაგური იყო. 2016 წლის 7 ივნისს მადრიდში, „ალფონს კოლიზეუმზე“ ვლადიმირ ვაისის გუნდმა ევროპის ჩემპიონატის სამზადისში მყოფ ესპანეთს მოუგო. გოლი თორნიკე ოქრიაშვილმა გაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ თამაში ამხანაგური იყო, ცხადია, საქართველოს ნაკრების ესპანეთში გამარჯვება ჩვეულებრივი ამბავი არ იყო.

საბერძნეთი ჩვენთვის ისეთივე უხერხული მეტოქეა, როგორიც ირლანდია. ელადელებთან 7-ჯერ გვითამაშია და მხოლოდ ერთ ფრეს გამოვრჩით და 6 წავაგეთ. ბურთების ბალანსი – 5:14.

ან გუნდების ურთიერთშეხვედრები სათავეს 1996 წლიდან იღებს. იანინაში გამართული სპარინგშეხვედრა ბერძნებმა 2:1 მოიგეს. ანგარიში მე-15 წუთზე გოჩა გოგრიჭიანმა გახსნა, მაგრამ მეორე ტაიმში დემის ნიკოლაიდისმა დუბლი შეასრულა.

შემდეგ უკვე ოფიციალური მატჩები ვითამაშეთ: ევრო 2000-ის შესარჩევში, ათენში ნიკოს მახლასის, ნიკოს ლიბეროპულოსისა და მარინოს უზუნიდისის გოლებით საბერძნეთმა ადვილად იმარჯვა (3:0), ხოლო თბილისში ანგარიში თემურ ქეცბაიამ გახსნა. თუმცა ოთარ ხიზანეიშვილის ავტოგოლითა და ნიკოს მახლასის გოლით სტუმრებმა თამაში ბოლო 5 წუთში მოიგეს.

შემდეგი იყო მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი: „მიხეილ მესხზე“ 22-ე წუთზე საქართველოს ნაკრები მალხაზ ასათიანმა დააწინაურა, მაგრამ გაგრძელდა ისე, როგორც საბერძნეთთან მატჩების სცენარს ახასიათებდა – მიხალის კაპსისის, ცისის ვრიზასნისა და სტელიოს იანაკოპულოსის გოლებით წავაგეთ (1:3). საპასუხო შეხვედრაში ოტო რეჰაგელის გუნდმა პირეოსში დიმიტრის პაპადოპულოსის გოლით მოიგო (1:0).

ბოლო გადაკვეთა ელადელებთან ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში მოხდა. შესარჩევი ეტაპის პირველ ტურში მე-3 წუთზე ალექსანდრე იაშვილის გოლით დავწინაურდით, მაგრამ უპირატესობა ვერც ამჯერად შევინარჩუნეთ და ნიკოს სპიროპულოსმა გაათანაბრა. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა საქართველოს ნაკრებმა საბერძნეთთან არ წააგო.

ბოლო დაპირისპირება „მიხეილ მესხზე“ შედგა და ტრადიცია არ დაირღვა – ვიგებდით და წავაგეთ. დავით თარგამაძემ მე-19 წუთზე გახსნა ანგარიში, მაგრამ 79-ე და 85-ე წუთებზე გიორგიოს ფოტაკისმა და ანგელოს ხარისტეასმა საბერძნეთს მოაგებინეს.

ამრიგად, საბერძნეთთან უცნაური სტატისტიკა გვაქვს: 7 მატჩიდან 5-ში ვიგებდით და მხოლოდ 1 ფრეს დავჯერდით.

შვედეთი და კოსოვო – ამ ნაკრებებს საქართველოს ნაკრები არასდროს შეხვედრია და მათთან დაპირისპირება სუფთა ფურცლიდან იწყება.

2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მომავალი წლის მარტში დაიწყება და ნოემბერში დასრულდება. ჯგუფური ეტაპის კალენდარი ჯერ უცნობია.

საკვალიფიკაციო ეტაპის განრიგი კი ასეთია:

პირველი ტური: 24-25 მარტი;
მეორე ტური: 27-28 მარტი;
მესამე ტური: 30-31 მარტი;
მეოთხე ტური: 1-2 სექტემბერი;
მეხუთე ტური: 4-5 სექტემბერი;
მეექვსე ტური: 7-8 სექტემბერი;
მეშვიდე ტური: 8-9 ოქტომბერი;
მერვე ტური: 11-12 ოქტომბერი;
მეცხრე ტური: 11-13 ნოემბერი;
მეათე ტური: 14-16 ნოემბერი.

ფლეი ოფის პირველი რაუნდი 2022 წლის 24-25 მარტს გაიმართება, ხოლო მეორე რაუნდი – 28-29 მარტს.

აძვე წილისყრის სრული შედეგები:

ა ჯგუფი: პორტუგალია, სერბეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, აზერბაიჯანი;

ბ ჯგუფი: იტალია, შვეიცარია, ჩრ.ირლანდია, ბულგარეთი, ლიეტუვა;

დ ჯგუფი: საფრანგეთი, უკრაინა, ფინეთი, ბოსნია, ყაზახეთი;

ე ჯგუფი: ბელგია, უელსი, ჩეხეთი, ბელარუსი, ესტონეთი;

ფ ჯგუფი: დანია, ავსტრია, შოტლანდია, ისრაელი, ფარერები, მოლდოვა;

გ ჯგუფი: ნიდერლანდები, თურქეთი, ნორვეგია, მონტენეგრო, ლატვია, გიბრალტარი;

ჰ ჯგუფი: ხორვატია, სლოვაკეთი, რუსეთი, სლოვენია, კვიპროსი, მალტა;

ი ჯგუფი: ინგლისი, პოლონეთი, უნგრეთი, ალბანეთი, ანდორა, სან მარინო;

ჯ ჯგუფი: გერმანია, რუმინეთი, ისლანდია, ჩრ.მაკედონია, სომხეთი, ლიხტენშტეინი.

მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს 13 ევროპული ნაკრები მოიპოვებს. აქედან 10 საგზურს ჯგუფის პირველადგილოსნები ავტომატურად მიიღებენ, ხოლო მეორეადგილოსნები ფლეი ოფში გადაინაცვლებენ, სადაც მათ აწ დასრულებული ერთა ლიგის ჯგუფების გამარჯვებულებს შორის საუკეთესო 2 შედეგის მქონე ნაკრებები შეუერთდებიან (ცხადია, თუ ჩვეულებრივი შესარჩევი ციკლიდან არ მოიპოვებენ მუნდიალის ან ფლეი ოფის საგზურს).

ფეხბურთი

7 დეკემბერი
ფეხბურთი

ინგლისი. ჰრემიერლიგა

ბრაიტონი-საუთჰემპტონი 1:2

სატუნირო ცხრილი:

1.ტოტენჰემი	11	7	3	1	23-9	24
2.ლივერპული	11	7	3	1	26-17	24
3.ჩელსი	11	6	4	1	25-11	21
4.ლესტერი	11	7	0	4	21-15	21
5.საუთჰემპტონი	11	6	2	3	21-17	20
6.მანჩესტერი	10	6	1	3	19-17	19
7.სიტი	10	5	3	2	17-11	18
8.ვესტ ჰემი	11	5	2	4	18-14	17
9.ევერტონი	11	5	2	4	20-18	17
10.ვულვზი	11	5	2	4	11-15	17
11.კრ.პალასი	11	5	1	5	17-16	16
12.ასტონ ვილა	9	5	0	4	20-13	15
13.ლიდსი	11	4	2	5	16-20	14
14.ნიუკასლი	10	4	2	4	12-15	14
15.არსენალი	11	4	1	6	10-14	13
16.ბრაიტონი	11	2	4	5	15-18	10
17.ფულემი	11	2	1	8	11-21	7
18.ვესტ ბრომვიჩი	11	1	3	7	8-23	6
19.ბარნლი	10	1	3	6	5-18	6
20.შეფილდი	11	0	1	10	5-18	1

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი 3:1

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	10	7	2	1	34-16	23
2.ლევერკუზენი	10	6	4	0	19-9	22
3.ლაიფციგი	10	6	3	1	21-9	21
4.დორტმუნდი	10	6	1	3	22-10	19
5.ვოლფსბურგი	10	4	6	0	16-10	18
6.უნიონი	10	4	4	2	22-14	16
7.გლადბახი	10	4	4	2	19-16	16
8.შტუტგარტი	10	3	5	2	19-16	14
9.აინტრახტი	10	2	7	1	15-17	13
10.ჰოფენჰაიმი	10	3	3	4	18-17	12
11.აუგსბურგი	10	3	3	4	12-15	12
12.ჰერტა	10	3	2	5	18-19	11
13.ვერდერი	10	2	5	3	14-17	11
14.ფრაიბურგი	10	1	5	4	12-22	8
15.კიოლნი	10	1	4	3	12-17	7
16.არმინია	10	2	1	7	8-20	7
17.მაინცი	10	1	2	7	12-24	5
18.შალკე	10	0	3	7	6-31	3

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ეიბარი-ვალენსია 0:0

სატუნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	10	8	2	0	21-2	26
2.სოსიედადი	12	7	4	1	22-5	25
3.ვილიარეალი	12	5	6	1	15-11	21
4.რეალი	11	6	2	3	17-12	20
5.კადისი	12	5	3	4	11-13	18
6.სევილია	10	5	1	4	12-9	16
7.გრანადა	11	4	3	4	14-20	15
8.ბეტისი	12	5	0	7	14-23	15
9.ბარსელონა	10	4	2	4	20-11	14
10.ელჩე	10	3	5	2	9-10	14
11.ეიბარი	12	3	5	4	8-9	14
12.ალავესი	12	3	5	4	11-13	14
13.ვალენსია	12	3	4	5	17-17	13
14.ბილბაო	11	4	1	6	12-12	13
15.ხეტაფე	11	3	4	4	9-13	13
16.სელტა	12	3	4	5	13-20	13
17.ლევანტე	11	2	5	4	13-15	11
18.ოსასუნა	11	3	2	6	8-15	11
19.ვალიადოლიდი	12	2	4	6	11-18	10
20.უესკა	12	0	8	4	11-20	8

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ტენერიფე-ლეგანესი 0:0
მალიორკა-კასტელონი 3:1

იტალია. სერია ა

ფიორენტინა-ჯენოა 1:1

სატუნირო ცხრილი:

1.მილანი	10	8	2	0	23-9	26
2.ინტერი	10	6	3	1	26-14	21
3.ნაპოლი	10	7	0	3	24-10	20
4.იუვენტუსი	10	5	5	0	20-8	20
5.სასუოლო	10	5	4	1	18-12	19
6.რომა	10	5	3	2	19-15	18
7.ლაციო	10	5	2	3	16-17	17
8.ვერონა	10	4	4	2	13-8	16
9.ატალანტა	9	4	2	3	18-16	14
10.ბოლონია	10	4	0	6	15-17	12
11.კალიარი	10	3	3	4	17-20	12
12.სამპდორია	10	3	2	5	15-17	11
13.ბენევენტო	10	3	2	5	12-21	11
14.უდინეზე	9	3	1	5	10-12	10
15.სპეცია	10	2	4	4	14-19	10
16.პარმა	10	2	4	4	10-17	10
17.ფიორენტინა	10	2	3	5	11-16	9
18.ტორინო	10	1	3	6	17-24	6
19.ჯენოა	10	1	3	6	9-19	6
20.კროტონე	10	0	2	8	6-24	2

იტალია. სერია ბ

პორდენონე-ემპოლი 0:0

საფრანგეთი. ლიგა 2

აიაჩო-ლე ავრი 1:1

პორტუგალია. პრემიერ ლიგა

ფარენსე-მარიტიმუ 2:1

ჩესეთი. პრემიერ ლიგა

სოჭი-ახმატი 2:0

ბელგია. ა დივიზიონი

შარლერუა-კორტრაიკი 0:0

თურქეთი. სუპერ ლიგა

ტრაბზონი-სივასი 1:1

დანია. სუპერ ლიგა

ორხუსი-ბრონდბიუ 3:1

ნორვეგია. ელიტსერია

ვალერენგა-რუსენბორგი 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

სუპერლიგის ლიდერები ისევ იგებენ

ციტები-თსუ 89:100

(17:26, 24:25, 18:20, 30:29)

საკალათბურთო სუპერლიგის მორიგი 2 მატჩი გაიმართა. თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ჩემპიონატის ნომინალურმა ლიდერმა თსუ-მ ტიტები 100:89 დაამარცხა.

შეხვედრა უნივერსიტეტელთა უპირატესობით რომ დაიწყო, ასევე დასრულდა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილი გუნდი სოლიდურ უპირატესობას რომ დაეპატრონა, ხელიდან მატჩის ბოლომდე არ გაუშვია. უნივერსიტეტელებს საკმაოდ დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავთ როგორც ლეგიონერებით, ისე ქართველი კალათბურთელებით. სწორედ ამის ხარჯზე თსუ-ს პრობლემები არ შეჰქმნია.

ტიტებში კი დებიუტი ჰქონდა საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ წევრს, ქართული პასპორტის მქონე ამერიკელ მაიკლ დიქსონს, რომელმაც ვერ აუწყო ფეხი თსუ-ელთა სწრაფ ტემპს. დიქსონი სათანადო ფორმაში არ არის და, სანამ თამაშის ეშხში შევიდოდა და ქულების გროვებას დაიწყებდა, თამაშის ბოლომაც მოატანა.

საბოლოოდ დიქსონმა 19 ქულა ჩააგდო, თუმცა ეს ვერაფერი შვება ვერ გამოდგა ტიტებისთვის. თსუ-ს რიგებში შეუჩერებელი იყვნენ ქუენთინ დავი (30 ქულა, 12 მოხსნა) და ბრენდონ სლაი (26 ქულა, 8 მოხსნა).

ქუთაისი-მგზავრები 95:89

(21:20, 27:28, 30:20, 17:21)

ზემოთ ნომინალური ლიდერი ვახსენეთ, დაკარგული ქულებით კი ლიდერი ქუთაისია, რომელსაც 5-დან 5 გამარჯვება აქვს. ქუთაისელებმა მე-5 მატჩი საკუთარ კედლებში, მგზავრებთან მოიგეს. მატჩი საკმაოდ დაძაბული იყო და მისი ბედი ბოლო წუთებზე მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყდა – 95:89.

რიონისპირელებს 23 ქულითა და 8 პასით ქაჰიმ რენსომმა ულიდერდა. ორმაგი დუბლი ჰქონდა აკაკი დვალიშვილს – 16 ქულა, 13 მოხსნა. ილია ონდარიძე გუნდს 20 ქულით შეეწია, ხოლო გიორგი ბარბაქაძე – 18. მგზავრებს ტროი სტიუარდისა (26 ქულა) და ჯეიდონ კოჰის (23 ქულა) კარგმა თამაშმა ვერ უშველა.

სატუნირო ცხრილი:

1.თსუ	7	5	2	590-567	12
2.ქუთაისი	5	5	0	466-389	10
3.ცხუმი	5	3	2	429-369	8
4.კაკტუსი	6	2	4	423-470	8
5.ვერა	6	2	4	433-487	8
6.ოლიმპი	6	1	5	447-502	7
7.ბათუმი	4	2	2	342-347	6
8.მგზავრები	5	1	4	396-425	6
9.დინამო	4	2	2	333-354	6
10.ტიტები	4	2	2	318-307	6
11.რუსთავი	2	2	0	187-147	4

ჯოხვოხდი ბ



შვეულად: 2. სიმღერის შესრულება აკომპანემენტის გარეშე; 3. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 4. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 5. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 6. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 8. ტკბილეული, დესერტი; 11. ეთერზეთების შემცველი ზოგიერთი მცენარის სურნელოვანი წვენი; 14. დაჟინებული, კატეგორიული მოთხოვნა; 15. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. ფასიანი ქაღალდი; 17. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 19. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 21. თაფლში მოხარშული ხორბალი; 22. არყის სასმელი პატარა ჭიქა.

თარაზულად: 1. მსხვილი, სურნელოვანი თეთრი ყვავილის მქონე დეკორატიული მცენარე; 5. კომბინაცია პოკერში; 7. მხდალი, მშიშარა ადამიანი; 9. აშშ-ის კონგრესის შენობა; 10. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 12. ფერმენტი, რომელიც შლის სახამებელს და ხელს უწყობს მის შაქრად გარდაქმნას ორგანიზმში; 13. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. თურქეთის ძველი სახელწოდება; 17. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება; 18. სოკოების გამრავლების ორგანო; 20. მოკლელულიანი შაშხანა; 22. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 23. ყველაზე დიდი ქალაქი სიცილიაში; 24. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 25. ზნეობრივი ხასიათის მოკლე ალეგორიული მოთხრობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კურტაჟი; 2. თუშმალი; 3. ნიველირი; 4. სიგალი; 5. შლიმანი; 8. პაუპერი; 9. მარჩვიბი; 12. აბაკელია; 13. პლატინა; 16. სხვიტორი; 17. მარაზმი; 19. აკაცია; 20. შუქურა.

თარაზულად: 6. ბურდუხანი; 7. ჰიმალაი; 8. პრერია; 10. იავნანა; 11. დაბა; 14. ბილტმორი; 15. ჟანდარმი; 18. ახმეტა; 21. კონკური; 22. ხუნდი; 23. ალმასი; 24. ვირსალაძე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სულორი; 2. დიორი; 3. ტვისტი; 4. ჯილღაო; 6. პალიტრა; 9. სევრი; 11. ტაიფუნი; 15. სუბმარინა; 16. კულუხი; 17. კელასური; 19. ემბლემა; 21. ნებიერი; 22. ბედეგი.

თარაზულად: 5. წუწურაქი; 7. ათანელი; 8. კლიჩკო; 10. ნეფრიტი; 12. აიეტი; 13. აბატი; 14. ჯვრისწერა; 18. სუფლე; 20. ლუგელა; 23. დეკანი; 24. ბახი; 25. ტეხასი; 26. გენი; 27. ფრაქცია.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2910

ევრო — 3.9847

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3672

100 რუსული რუბლი — 4.4244

ამინდის პროგნოზი 9 დეკემბრისათვის

პოგბა: „კორონავირუსის შემდეგ თავს სუსტად ვგრძნობ“

მანჩესტერ იუნაიტედის ერთ-ერთმა ლიდერმა პოლ პოგბამ ცოტა ხნის წინ კორონავირუსი გადაიტანა და ფრანგმა ამ ვირუსის შესახებ ერთ-ერთ ინტერვიუში ისაუბრა.

პოგბას თქმით, მიუხედავად გამოჯანმრთელებისა, მაინც ცუდად გრძნობს თავს და 90 წუთის განმავლობაში თამაში არ შეუძლია:

– თავს კარგად არ ვგრძნობ და მუდმივად დაღლილი ვარ, რაც ვირუსის შემდეგ ბუნებრივიც არის. ვიცი, რომ 90 წუთი თამაშს ვერ შევძლებ, მაგრამ მინდა, მალე ჩემი კონდიციები ბოლომდე აღვიდგინო.

რამოსი: „ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ ვართ“

მადრიდის რეალის კაპიტანმა სერხიო რამოსმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალი ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის, თუმცა ბოლო შეხვედრა სევილიასთან მაღალ დონეზე ჩაატარა.

რამოსის აზრით, რეალმა უნდა შეძლოს ფორმაში შესვლა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ყველა ტურნირში გამარჯვებისთვის ბრძოლა:

– სევილიასთან ყველაფერი კარგად გამოგვივიდა, მაგრამ ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვართ. იმედი მაქვს, რეალის მოთამაშეები ტრავმებს მოიშუშებენ და ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში იქნება.

კოუტინიო: „უფრო მეტი შემიძლია“

ბარსელონის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფელიპე კოუტინიომ თავის სათამაშო ფორმაზე ისაუბრა და თქვა, რომ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია და ტრავმის შემდეგ ჯერ ოპტიმალურ კონდიციებს არ მიახლოებია:

– ბარსელონაში დაბრუნების შემდეგ თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ ტრავმამ ჩემი მდგომარეობა ოდნავ გაართულა. მინდა, გულშემატკივარი გავახარო და ბარსელონასთან ერთად ტიტულები მოვიგო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ინგლისელი ლორდი მოსამსახურეს ეკითხება:

– რას მეტყვი ბერიმორ, სამყაროს დასასრული უკვე დადგა?

– არა სერ, ჯერ რეპეტიციაა...

●●●

მასწავლებელი გეოგრაფიის გაკვეთილზე შეკითხვას სვამს:

– აბა ბავშვებო, ვინ გამოვა დაფასთან და მაჩვენებს, სადაა ჩვენი ქვეყანა?... აბა გიგი, მიპასუხე.

– მაგას დაფასთან გამოსვლა რად უნდა, მასწავლებელო, რა თქმა უნდა, უკანალში...

●●●

მოგონებებში წასული სიდედრი სიძეს უყვება:

– ეეჰ, ახალგაზრდობაში სულელი, გულუბრყვილო და ულამაზო ვიყავი...

– დედა, საერთოდ არ შეცვლილხართ!

●●●

ორკესტრის რეპეტიციაზე უკმაყოფილო დირიჟორი აცხადებს:

– ორდესაც მუსიკოსი ვერც ერთ ინსტრუმენტზე ვერ უკრავს, მას ორ ჯოხს აძლევენ და ის მედოლე ხდება.

ამ დროს ორკესტრიდან პასუხად ისმის:

– ხოლო თუ ის ვერც დოლზე დაკვრას ახერხებს, ერთ ჯოხს ართმევენ და ის დირიჟორი ხდება.

●●●

მამა შვილს ეკითხება:

– შვილო, პატარა ძამიკო გინდა?

– მინდა.

– მაშინ წადი, დაიძინე!

●●●

პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორი თვითმფრინავიდან თავის მოსწავლეებს უშვებს და იძახის:

წავიდა პირველი, მიჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე... პარაშუტები არ დაგავიწყდეთ, არ დაგავიწყდეთ...

თამთა გოდუაძეს მოდის ხატი უწოდეს

საბერძნეთში მოღვაწე ქართველ მომღერალ თამთა გოდუაძეს მოდის ხატი უწოდეს.

თამთა ერთ-ერთ ბერძნულ პროექტში მონაწილეობს, სადაც დამწყები ხელოვანები ურთულეს გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამენ.

თამთამ მონაწილეობა მიიღო პროექტის „საბერძნეთის მომავალი ტოპმოდელი“ ერთ-ერთ ეპიზოდში. მისი დანახვა პროექტის მონაწილეებისთვის განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა.

– მოდის ხატს რომ ფიზიკური სახე ჰქონოდა, ეს თამთა იქნებოდა, – განაცხადა პროექტის ხელმძღვანელმა გიორგოს კარავამ ქართველი მომღერლის მისამართით. ასეთი კომპლიმენტი თამთასთვის იმდენად უხერხული აღმოჩნდა, რომ მოსმენისას დამალვა ცადა.

რეზო ჩხეიძე 94 წლის გახდებოდა

რეჟისორი რეზო ჩხეიძე 94 წლის გახდებოდა. ხელოვანის დაბადების დღე მისმა უახლოესმა მეგობარმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გოგი დოლიძემ მოკრძალებულად აღნიშნა.

ტრადიციულად, ბატონი გოგი დიდუბის პანთეონში მივიდა, თუმცა არა ჩოხოსნებთან და სკოლის მოსწავლეებთან ერთად, როგორც ამას ყოველ წელს აკეთებდა. კორონავირუსის პანდემიის გამო ჩოხოსნების ლიდერმა გადაწყვიტა, იუბილარი რეჟისორის საფლავზე ერთი ვარდი დაედო და მისი ხსოვნისთვის პატივი ეცა.

გოგი დოლიძე:

– რეზო ჩხეიძე იყო ჩვენი, ჩოხოსნების იდეური თანამოაზრე, უახლოესი მეგობარი. მართალია, წელს ტრადიციული შეკრება ვერ მოხერხდა – ჩოხოსნებით, სხვადასხვა რაიონიდან ჩამოყვანილი სკოლის მოსწავლეებით, მაგრამ პანდემია დასრულდება და რეზო ჩხეიძეს საკადრის პატივს მივაგებთ.

მიხეილ ზაქარიაშვილი ვოდევილების თეატრს აღადგენს

მომღერალი, მუსიკოსი და კომპოზიტორი მიხეილ ზაქარიაშვილი პირობას დებს, რომ აუცილებლად აღადგენს ვოდევილების თეატრს და მაყურებელს არაერთ სასიამოვნო სპექტაკლს შესთავაზებს:

– ბევრი სცენარი მაქვს და ამ თეატრს პანდემიის მერე მაინც აღვადგენ და ოჯახს გავაკეთებ. ერთხელ იყო და მორჩა. თუ ვინმეს უნდა თეატრისთვის შენობის მოცემა, დიდი მადლობელი ვიქნები. შევეკედლები რომელიმე თეატრს და ხალხისთვის უკეთეს სპექტაკლებს გავაკეთებ. მოვიწვევ ყველა მომღერალს და მარტივ, გასაგებ, მუსიკალურ და სასაცილო სპექტაკლს გავაკეთებ. ავიხდენ ჩემს დიდი ხნის ოცნებას, რომლისკენაც ვილტვოდი მთელი ცხოვრება.

„ერისიონის“ ყოფილი სოლისტი ნუგზარ კურცხალია გარდაიცვალა

ანსამბლ „ერისიონის“ ყოფილი სოლისტი, მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი და ღირსების ორდენის კავალერი ნუგზარ კურცხალია 68 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია „ანსამბლმა „ერისიონმა“ გაავრცელა:

– ნუგზარ კურცხალია იყო ქართული ფოლკლორის უბადლო წარმომადგენელი და შესანიშნავი ლოტბარი. იგი ყველა კუთხის სიმღერას განსაკუთრებულად ასრულებდა და უკრავდა მრავალ ინსტრუმენტზე. მის ხელში აღიზარდნენ არაერთი თაობის მომღერლები, რომლებიც დღეს სხვადასხვა ანსამბლში მღერიან.

მას საკუთარი ხელით ნოტებზე ჰქონდა ჩაწერილი მრავალი ასეული ხალხური სიმღერის საინტერესო ნიმუშები. ხანგრძლივი იყო მისი შემოქმედებითი გზაც. „ერისიონში“ იგი 30 წელზე მეტხანს მღეროდა და იყო ყველასათვის საყვარელი ადამიანი, უერთგულესი და უღალატო მეგობარი.

ანსამბლი „ერისიონი“ და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, ბატონი შერმანდი ჭკუასელი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მისი გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ ოჯახს, მის ახლობლებს, მეგობრებსა და სრულიად საქართველოს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სტივ ჯობსის ქალიშვილი მოდელი გახდა

Apple-ს დამფუძნებლის სტივ ჯობსის ქალიშვილმა ევამ მოდელის კარიერის დაწყების თაობაზე განცხადება გააკეთა და კოსმეტიკური ბრენდის სარეკლამო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა.

22 წლის მოდელმა ამერიკული მარკისGlossier-თვის გამართულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ის პოზირებდა აბაზანაში, სადაც სხეულის შიშველი ნაწილები საპნის ქაფით ჰქონდა დაფარული. ზოგიერთ კადრში გოგონას ხელში ბოკალი უჭირავს, სხვებში ტუჩებს იღებავს ბრენდის საცხის გამოყენებით. მის გარეგნობას ასრულებს შავი პატჩები თვალების ქვეშ და რამდენიმე ოქროს სამკაული.

აღსანიშნავია, რომ ევა ჯობსის გარდა, სარეკლამო გადაღებაში ასევე მონაწილეობდნენ მსახიობი და სერიალ „ეიფორიის“ ვარსკვლავი სიდნი სუინი და ტრანსვესტიტი და ტელეწამყვანი დევის ჰეპენსტოლი, რომელიც უფრო მეტად ნაომი სმოლსის სახელითაა ცნობილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 დეკემბრისათვის

ვერძი – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **კურო** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **კირჩხიბი** – მოულოდნელად ინტრიგებში გაიხლართებით. ყოველგვარ კამათსა და საქმის გარჩევას თავი აარიდეთ. მშვიდად იმუშავეთ. **ლომი** – პირობა აუცილებლად შეასრულეთ. დღეს გაამართლებს ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – ახალი კონტაქტები სასიკეთო შედეგს გამოიღებს. თქვენი ფინანსები საკმაოდ გაიზრდება. **სასწორი** – იყავით მიმტევებელი, მომთმენი. ემოციებს ნუ აჰყვებით. თქვენი კეთილგანწყობა გარშემომყოფებზეც დადებითად იმოქმედებს. **ღრიანკალი** – ოჯახურ ურთიერთობებს გაუფრთხილდით. თქვენს საქმეში ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ. **მშვილდოსანი** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს. **თხის რქა** – იყავით ინდივიდუალური. სხვას ნუ მიბაძავთ. მარტოხელებს გელით რომანტიკული ნაცნობობა. **მერწყული** – უაზრო სიჯიუტე დაგაზარალებთ, თუმცა არც მთლად უპრინციპობა ვარგა. ზომიერება დაიცავით. **თევზები** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 3. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 5. საჭმელი სოკო; 11. ინდოეთის ქალაქ მუმბაის ძველი სახელწოდება; 12. დონ კიხოტის გვარი; 14. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 16. კინოფილმ „მამლუქის“ რეჟისორი; 17. უნგრეთის პირველი მეფე, ქრისტიანობის დამკანონებელი ქვეყანაში; 19. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 21. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია.

თარაზულად: 6. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 7. აეროპორტი სანკტ-პეტერბურგში; 8. მძაფრი გემოს მქონე ბოსტნეული, მწვანილი; 9. ქართველი ჰემატოლოგი, აკადემიკოსი; 10. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 13. ნაქსოვი ფეხსამოსი; 15. გერმანული ლუდი; 18. რაიონული ცენტრი მცხეთა-მთიანეთში; 20. დედალი ჯიხვი; 21. ანგორული თხის მატყლი; 23. თვალით უხილავი ნაწილაკების გამოსაკვლევი ოპტიკური ხელსაწყო; 24. პატარა მოთხრობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა